ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

22 ივნისი შაბათი 1991 № 72 (11705)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

გულთბილი შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** მიიღო სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სომხეთის უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმიანობის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები **ბაგრატ ასატრიანი** და **მერუჟან ტერგულანიანი.**

სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას ინიციატივას, რომელმაც აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელებს შესთავაზა თავისი შუამავლის როლი ამ ხალხებს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

საუბრის დროს გამოითქვა აზრი უახლოეს ხანში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ასეთი შეხვედრის ორგანიზაციის მიზანშეწონილობისა და დიდი მნიშვნელობის შესახებ.

აფხაზი მშრომელების პროტესტი

18 ივნისს სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ჩატარდა იმ მსხვილი სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა კრება, რომლებიც განლაგებულია მიკრორაიონ „მაიაკში".

კრების მონაწილეებმა პროტესტი გამოთქვეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას, რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელის მიმართ, რომელთაც სურთ ხელი მოაწერონ საკავშირო ხელშეკრულებას და რომელთა მოქმედება ეწინააღმდეგება სსრკ საქართველოს და აფხაზეთის კონსტიტუციებს. აფხაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ უფლება ილაპარაკონ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის სახელით, რადგანაც ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა 62 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა 31 მარტის რეფერენდუმში და უმრავლესობამ საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა.

კრებამ მიიღო მიმართვა გორბაჩოვისა და არძინბასადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. კრების მონაწილეებმა უნდობლობა გამოუცხადეს არძინბას. საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემთხვევაში ქალაქის შრომითი კოლექტივები საყოველთაო სამოქალაქო დაუმორჩილებლობას გამოუცხადებენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

თემურ ქაჯაია,
„ხუობოდნაია გრუზია"
21. 06. 91 წ.

გამოეხმაურეთ, დედებო!

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში (რომელსაც მეც და ჩემი ზაზაც დიდ პატივს ვცემდით), ეს წერილი. მინდა ყველა დედამ იცოდეს, რომ საჭიროა ხმა ავიმაღლოთ დაუსჯელობის წინააღმდეგ და ამით ვიხსნათ ახალგაზრდობა.

19 აპრილს უნივერსიტეტის წინ მოხდა შემზარავი ფაქტი. ნაძირალებმა მოკლეს ორი საუკეთესო ახალგაზრდა. ჩვენი სირცხვილი, დაცემა და გადაგვარება ამაზე შორს არ უნდა წავიდეს. რის გულისთვის მოკლეს ორი ცხრამეტი წლის სიცოცხლით გაუმაძღარი, სწავლაზე შეყვარებული ახალგაზრდა? ორივე ფრიადოსანი, უმშვენიერესი სულის მქონე, უბოროტონი.

ზაზას დარჩა დღიურები, რომელშიც უწერია: „დათო ძალიან მიყვარს. დაბადების დღეზე ვიყავი მასთან და სადღეგრძელოში კიდეც ვუთხარი ეს. როცა ცდება, მაშინაც გულწრფელად ცდება, ნატამალი პოზა არაა მასში და ეს მომწონს ძალიან. თან ისეთია, ცხოვრების ეშხს რომ გაგრძნობინებს, ყველაფერი რომ ლამაზად გამოუდის, გაკეთებაც და გაფუჭებაც. თვითონაც მეუბნებოდა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარო. მე სადღეგრძელოს კონკრეტული ადამიანების მაგალითზე ვსვამ ხოლმე. აი, პატიოსნების სადღეგრძელოს რომ დავლევ, დავლევ შენი სახითო. საკმაოდ მესიამოვნა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ გულწრფელი იყო". ასეთები იყვნენ ზაზა და დათო. შეიძლებოდა ამ ბიჭების დახოცვა?

რა ხდება, დედებო?! რა ხდება ახალგაზრდებო?! ჰინჰებმა ასე როგორ უნდა გაგვაგიჟონ?! როგორ უნდა გაეხადა თავმოყვარე ბიჭს ქურთუკი დღისით, მზისით? რატომ არ უნდა მიშველებოდა ჩემი ზაზა თავის საყვარელ დაჭრილ მეგობარს? ვერ გაამტყუნებ ვერც ერთს. ზაზას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, რადგან ჩვენს ოჯახში ასეთი პრინციპია გაბატონებული, დაეხმარე გაჭირვებაში ჩავარდნილს, ეს ყველაზე მეტ შვებას მოგვგვრის. ასე ვცხოვრობდით, ასე დავზარდეთ შვილები. ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანია, ფულით და ძვირფასეულობით არასოდეს არ დავინტერესებულვართ. ჩემს ზაზასაც წიგნების მეტი არაფერი აინტერესებდა. კურსზე (შეიძლება მთელ უნივერსიტეტშიც) ალბათ ყველაზე უბრალოდ ეცვა, მშიერი დარჩებოდა და საჭმელისათვის გატანებული ფულით წიგნს იყიდიდა. სამი დღე ჰაერით ვიკვებებოდი, რადგან კარგი წიგნი შემხვდა და ის ვიყიდეო, — მითხრა ერთხელ თბილისიდან ჩამოსულმა. ასეთი იყო დათოც. ამიტომ უყვარდათ ერთმანეთი.

მოკლეს ზაზა, ჩვენი ერთადერთი ძე, აღარ გაგრძელდება მამამისის გვარი, რადგან მამაც ერთი, პაპაც ერთი იყო (ღმერთმა ამრავლოს სხვა რონინიშვილები).

ასეთ განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს. როგორც გამწარებული დედა, მოგიწოდებთ ყველა დედას — გამოეხმაურეთ ჩემს წერილს, გამოთქვით თქვენი აზრი. მე მოვითხოვ საჯაროდ იქნენ დასჯილი მკვლელები (თუ მკვლელი), დამნაშავეები ხალხმა გაასამართლოს. გამოტანილ იქნეს ყველაზე მკაცრი სასჯელი. დაე, ორი (ან მეტი) ნაძირალის სახალხო დასჯით ვიხსნათ ათასები გადაგვარებისა და სიკვდილისაგან. ჩემს ზაზასა და დათოს აღარაფერი ეშველებათ, მაგრამ გადარჩებიან თქვენი შვილები, რომლებიც ჩემს შვილებად მიმაჩნია, გადარჩება საქართველო. ზაზა და დათოც ყველას შვილები იყვნენ, საქართველოს შვილები იყვნენ, უსაზღვროდ უყვარდათ სამშობლო. ჯერ კიდევ პატარამ მითხრა ჩემმა ზაზამ: „დედა, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არ გეწყინოს, სამშობლო შენზე მეტად მიყვარსო". უსაზღვროდ მესიამოვნა ეს სიტყვები.

არავითარი შეწყალება, არავითარი პატიება. არაფერმა არ უნდა იმოქმედოს მართლმსაჯულებაზე, არც ფულმა, არც ნაცნობობამ. ბოლო უნდა მოეღოს თანამდებობის პირთა შვილების დაუსჯელობას, მართლმსაჯულებისათვის მათ „ნაკრძალ ზონად" გამოცხადებას.

დაე, ყველა მშობელმა იცოდეს, რომ შვილის აღზრდა მისი კარგად გამოკვება და ჩაცმა-დახურვა არ არის. შვილის აღზრდა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს; შვილს მატერიალურთან ერთად სულიერი საზრდოც სჭირდება (ეს უფრო დიდ ადგილს უნდა იკავებდეს აღზრდაში). შვილებს ადამიანების სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, წიგნის სიყვარული უნდა ვასწავლოთ უპირველეს ყოვლისა. განებივრებული, ფულით გაამაყებული შვილები ყველა სისაძაგლეს ჩაიდენენ. მშობლების დასჯა დააფიქრებს შვილებსაც.

ვაი თქვენ, მკვლელის მშობლებო, თქვენი ცოცხალი შვილი ფაქტიურად მკვდარია, ხალხის ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებს. ჩემი მკვდარი შვილი და მისი მეგობარი კი მარად ცოცხლები დარჩებიან. თქვენ ხალხის შეხედვის გრცხვენიათ, მე და დათოს დედა კი მკვდარი შვილებითაც ვამაყობთ.

ზაზას მეგობრისადმი მიწერილ წერილში წავაწყდი ასეთ გამონათქვამს: „რახან ღმერთს შენი ამქვეყნად მოვლენა ჩაუთვლია საჭიროდ, კეთილ ინებე და მის მიერ ბოძებული სიცოცხლის წლებს უქმად ნუ გაფლანგავ. იცხოვრე ისე, რომ ყველამ შენზე თითით უჩვენოს აი, ნამდვილი ადამიანიო. ამ აზრზე ვდგევარ მე და ასე ვაპირებ ცხოვრებას".

ჩემმა ზაზამ 19 წლის მანძილზე ასე იცხოვრა, ასე გააგრძელებდა ცხოვრებას, მაგრამ არ დააცალეს არამზადებმა. თუ ღმერთი მართლა ჩვენთან არის, ჩემი ზაზას და დათოს წმინდა სულები წამლად დაედება ქვეყანას, იხსნიან გარეწრებისა და ნაძირალებისაგან სათაყვანო სამშობლოს. ამ ბიჭებს ხომ სამშობლოს სამსახური ჰქონდათ დასახული თავიანთ უმაღლეს მიზნად.

ზაზა რონინიშვილის დედა

P.S. უნივერსიტეტის მახლობლად ავტომატებით დაუცხრილავთ 4 ახალგაზრდა (ალბათ სტუდენტები არიან); 21 მაისს, ისიც დღისით, მზისით მომხდარა. რომ დასჯილიყვნენ 19 აპრილის დამნაშავენი, არ მოხდებოდა ახალი დანაშაული. რა ხდება? საით მივდივართ? როდემდე უნდა ვცხოვრობდეთ ასეთი შიშის ქვეშ. დღეც აღარ უნდა გავუშვათ შვილები გარეთ? აღარ ისწავლონ, აღარ იმუშაონ ჩვენმა ახალგაზრდებმა? დღე არ გავა, ახალგაზრდა არ მოკლან. ვინ არიან მკვლელები? ამ საქმეს დაუყოვნებლივ მიხედვა სჭირდება. საჭიროა კანონების გამკაცრება. ეს იქნება ყველაზე ჰუმანური აქტი და არა დამნაშავეთა გათავისუფლება და მათთვის ხელის დაფარება. იმედია ქვეყნის პრეზიდენტი და მთავრობა ამას უპირველეს გადასაჭრელ პრობლემად მიიჩნევენ, თორემ შიშის ქვეშ სიცოცხლეს რა აზრი აქვს?

შავი წიგნის პირველი ფურცლები

კრულ იყოს მათი სახელი...

1990 წლის 28 ოქტომბერს, ქართველი ერისათვის ისტორიულ დღეს, როცა საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გამოსცა საგანგებო ბრძანება. მასში, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ყოველი ქართველი — კაცის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა და უდანაშაულობისა, გამოცხადდება ქართველი ერის მტრად.

ამ საგანგებო ბრძანების გამოცემა საჭირო შეიქმნა იმის გამო, რომ საქართველოში სამუდამოდ აღკვეთილიყო უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე — ძმათა კვლა. ბრძანების თანახმად მკვლელის სახელი და გვარი უნდა შეტანილ იყოს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში, რათა გადაეცეს ის თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

და აი, საპატრიარქოს ამ „შავ წიგნში" შეიტანეს მკვლელების გვარები: **გოჩა გრიგოლის ძე ბერაშვილი,** რომელმაც ამა წლის 20 იანვარს მოკლა თეიმურაზ ივანეს ძე ბალიაშვილი, და **ბესარიონ ვიქტორის ძე კიკვიძე,** რომელმაც მოკლა თავისი ყოფილი მეუღლე ზილფა დავითის ასული ედიშერაშვილი.

ამ პირთა ქმედება ღალატის ტოლფასია, ისინი გამოცხადდნენ ერის მტრებად, რომელთა სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც განკიცხულთა და შერისხულთა.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერი არავის აპატიებს ძმათა კვლას. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გვიყვარდეს ერთურთი, გვქონდეს უნარი პატიებისა, მიტევებისა, თავშეკავებისა, სულგრძელობისა. ამას გვასწავლის ქრისტიანული მორალი, ამასვე მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მამული, რომელსაც ძვირად უღირს თითოეული ქართველის სიცოცხლე.

საქინფორმი

როგორც ხედავთ, პირველი გვარები ჩაიწერა შავ სიაში. რამდენად გრძელი იქნება ის? აი კითხვა, რომელიც ყველა ჩვენგანს აღელვებს. ეს სტრიქონები იწერებოდა.. როცა კიდევ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა (ღმერთო, მერამდენე-?!) თბილისში, რედაქციის მეზობლად, ბელინსკის ქუჩაზე.

სათანადო მასალა იხ. მე-3 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ **ზვიად გამსახურდიას**

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის თავმჯდომარეს ბატონ **ნოდარ გიორგაძეს**

საქართველოს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას ვუცხადებთ დიდ თანაგრძნობას და ვიზიარებთ მათ ღრმა მწუხარებას თავსდატეხილი სტიქიური უბედურების გამო, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი. ჩვენ, ჩვენს მეგობარ ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირთან ერთად მზად ვართ ქართველი ხალხისათვის ამ მძიმე წუთებში დავდგეთ მათ გვერდით და აღმოვუჩინოთ სათანადო დახმარება.

პატივისცემით, საბჭოთა კავშირის ავღანეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ალექსანდრე კოტენოვი.

SOS!!!

რადიაცია და... ბავშვები

ცნობილია, რომ რადიაციის სიდიდის შესაფასებლად არსებობს ნორმების ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობს მთელი კავშირი და მათ შორის, როგორც წესი, ჩვენი რესპუბლიკაც. მაგრამ იგივე ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ყოველნაირად უნდა შევამციროთ ადამიანის გაუმართლებელი დასხივების შემთხვევები, მაგრამ სამწუხაროდ, ცხოვრებაში არაერთია გაუმართლებელი დასხივების ფაქტები. ამაზე მრავალგზის განვაცხადეთ, მათ შორის პრესაშიც. დღეს მინდა შევჩერდე მაგალითებზე, რომლებიც ზოგიერთმა შეიძლება ჩათვალოს, როგორც „უმნიშვნელო", მაგრამ ჩემი მოსაზრებით, ეს არის ტიპიური გაუმართლებელი დასხივების ფაქტები, მითუმეტეს, როდესაც იგი ეხება ბავშვებს.

— თბილისში, ყაზბეგის ქუჩაზე სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების მაღაზიაში თავისუფლად და დიდი რაოდენობით იყიდება რადიაქტიული წყაროების კომპლექტი „პლუტონი", რომელშიაც ოთხი პრეპარატი დევს: ნატრიუმი—22, კობალტი—60, სტრონციუმი—90 და პლუტონიუმი—238. მათი აქტივობა დღეს არსებული ოფიციალური ნორმის ფარგლებშია და ალბათ ამიტომ ინსტრუქციაზე არის კავშირის მთავარი სანიტარიული ექიმის ხელმოწერა, რომ შეიძლება გაიყიდოს სანეპიდსადგურის ნებართვის გარეშე, მაგრამ ისმის კითხვა: რა საჭიროა რადიაქტიული წყაროების დაგროვება სკოლებში, როდესაც მათ პრაქტიკულად გამზომი აპარატურა არა აქვთ.

ამავე დროს აღნიშნული კომპლექტის ინსტრუქციაში, სხვა გაფრთხილებასთან ერთად, ვკითხულობთ, რომ სკოლებში წყაროებთან დამოუკიდებლად სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 18 წელი. აქვეა აღნიშნული, რომ თუ შეიქმნა ავარიული სიტუაცია, სკოლის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სანეპიდსადგურის და მილიციის ორგანოებს. ავარიულ სიტუაციად ითვლება: წყაროს მექანიკური დაზიანება, შენობაში ხანძრის გაჩენა და წყაროს დაკარგვის შემთხვევა.

ადვილად წარმოსადგენია, რომ თუ სანეპიდსადგურმა არაფერი იცოდა სკოლებში წყაროების არსებობის შესახებ, მაშინ ცხადია, ავარიული შემთხვევის ფაქტს ვერავინ გაიგებს. გაიფანტება რადიონუკლიდები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე უწყვეტლივ ასხივებენ.

კიდევ უფრო გაუგებარია ის, რომ მაღაზია ყიდის ქიმიური რეაქტივების კომპლექტს, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თორიუმის მარილი და რომელიც მინის ჭურჭელშია მოთავსებული.

თორიუმი—232, წარმოდგენილია რადიაქტიული ოჯახის ყოველი წევრით: თორიუმი—228, აქტინიუმი—228, რადონი—220, ბისმუტი—212, თალიუმი—208, ასეთი მარილის ერთი გრამის აქტივობა არის დაახლოებით 40 000 ბეკერელი (რადიაქტიულ დაშლათა რიცხვი წამში). დაუშვებლად მიმაჩნია ასეთი რეაქტივებით სკოლის პირობებში ქიმიური ცდების დემონსტრირება. აღნიშნული თორიუმის ერთი გრამი უკვე საშიშია, როგორც გარე დამსხივებელი, მაგრამ იგი განსაკუთრებით საშიში ხდება, თუ რაიმე გზით ორგანიზმში მოხვდა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში ლენინგრადის და სხვა ქალაქების სკოლების შემოწმებამ გამოავლინა დიდი რაოდენობით ნივთები ჯანმრთელობისათვის საშიში აქტივობით, რომლებიც, როგორც წესი, საჩუქრად ჰქონდათ მიღებული სამამულო ომის ისტორიის ოთახებისათვის. რესპუბლიკაში ასეთი ერთი სკოლაც რომ აღმოჩნდეს, მის გამოსავლინებლადაც კი საჭირო იქნება ჩავატაროთ შესაბამისი, ალბათ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო.

უნივერსიტეტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია (ტელეფონი: 29-08-23 ან 29-08-11), თავის მხრივ მზად არის შეძლების ფარგლებში დახმარება გაუწიოს ყველას საეჭვო ნივთების გამოკვლევაში. განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს ისეთი ნივთები, რომლებიც სიბნელეში ანათებენ. თუ ასეთ ნივთებს, რადიაციულ წყაროებს და შესაბამის ქიმიურ რეაქტივებს მასწავლებლები მოგვიტანენ ლაბორატორიაში, ჩვენ მათი თანდასწრებით დავადგენთ როგორც რადიონუკლიდების აქტივობას, ასევე მათ რაობას. ე. ი. რომელი ელემენტი ასხივებს, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ზოგიერთი მათგანის გამოსხივების ინტენსივობა თითქმის უცვლელია მრავალი ასეული წლის მანძილზე, დროის ასეთ დიდ ინტერვალშიც კი არავინ იცის, სად მოხვდება იგი და რას გამოიწვევს.

გაზომვის შედეგების მიხედვით მასწავლებლებთან ერთად დავადგენთ, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ სკოლები მაქსიმალურად განვტვირთოთ გაუმართლებელი დასხივების წყაროებისაგან. მიმაჩნია, რომ აღნიშნული სამუშაო უნდა ჩატარდეს სკოლის დირექტორის უშუალო პასუხისმგებლობით.

ვფიქრობთ, ჩვენს რესპუბლიკაში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ვიდრე არ გვექნება საჭირო აპარატურა და რადიაქტივობასთან მუშაობის მაღალი კულტურა, რადიაციული წყაროების გამოყენება სკოლებში უნდა აიკრძალოს.

მეორეს მხრივ ისიც ნათელია, რომ თეორიული ცოდნის გასამტკიცებლად სასურველია მოსწავლეები ლაბორატორიის პირობებში პრაქტიკულად გაეცნონ რადიაქტიული გამოსხივების ძირითად თვისებებს და მათი აღრიცხვის თანამედროვე ტექნიკას.

ამასთან დაკავშირებით, მასწავლებლები, რომლებიც მოინდომებენ მოსწავლეებს გააცნონ ბირთვული ფიზიკის ლაბორატორია, შეუძლიათ მობრძანდნენ შესაბამისი ჯგუფებით ჩვენთან უნივერსიტეტში (ცხადია, წინასწარი შეთანხმებით). ვეცდებით მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი ეს სურვილი.

მიხეილ კავილაძე,
თსუ გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგე

ბიზნესის სკოლის პირველი სერთიფიკატი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის ეროვნული კადრების მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ისახავს მიზნად ბიზნესის უმაღლესი სკოლა, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში შეიქმნა საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრების" (პრეზიდენტი ვასილ მჭედლიშვილი), მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული მმართველობითი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის (რექტორი ლორიკ მარშანია), საქართველოს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნის ხელშემწყობი ფონდის „ბანკირი" (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ კორტავა) და აშშ საგარეო-სავაჭრო ფირმა „ქოსთლაინ ლიმითედ ინკორპორეითედის" (პრეზიდენტი ლეო გოლდბერგი) წარმომადგენლებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ერთობლივი, ორიგინალური სკოლის შექმნის საქმეს. პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესს ქართველი პროფესორ-მასწავლებლები და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი სპეციალისტები ნუგზარ დოჩიძე, დავით იაკობიძე, მერაბ კაკულია, მიხეილ კორტავა, ნოდარ ლაცაბიძე, ვიქტორ მჭედლიშვილი, დავით მელიქიშვილი, გურამ ციცქიშვილი, მიხეილ ჯიბუტი და სხვები უძღვებოდნენ.

ამ ეტაპმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არიან სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ მოამზადონ ახალგაზრდა კადრები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. ბიზნესის უმაღლესი სკოლის ყველა მსმენელმა ფრიადზე შეასრულა თავისი საატესტაციო ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ რამაზაშვილის, გოჩა ლუჯაშვილის, ქეთევან გურასაშვილის, ნატო გურჯიშვილის, ზაზა ჟვანიას, გრიგოლ ჯიქიას, ზაზა ტყეშელაშვილის, ერეკლე მამუკელაშვილის შრომების ხარისხი.

სწავლის მეორე ეტაპზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე. აშშ-დან ჩამოსულმა სპეციალისტებმა და ბიზნესმენებმა: კალიფორნიის შტატის ფენიქსის უნივერსიტეტის პროფესორმა სასწავლო ფირმა „ედვანსდ ედუქეიშენ სისტემზ ინთერნეიშნლ"-ის პრეზიდენტმა ფრედერიკ ჰუბერმა კალიფორნიის შტატის სან-დიეგოს ეროვნული უნივერსიტეტის („ნეშნლ იუნივერსითის") პროფესორმა ირვინ ლენდმა, კალიფორნიის შტატის ლოს-ანჟელესის ჯორჯ პეპერდაინის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ამერიკაში ეკონომიკური თეორიების ცნობილმა მკვლევარმა, აშშ ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის კონსულტანტმა ეკონომიკის საკითხებში ვეინ გერტმენიანმა, აშშ ბანკ „ესკანდიდოს" ვიცე-პრეზიდენტმა ლოურენს მანლიმ და აშშ საგარეო-სავაჭრო ფირმა „ქოსთლიან ლიმითედ ინკორპორეითედის" პრეზიდენტმა ლეო გოლდბერგმა მსმენელებს შეასწავლეს მარკეტინგის, საერთაშორისო მენეჯმენტის, საერთაშორისო საბანკო სისტემის საკითხები, ამერიკული ბიზნესის თავისებურებები.

სწავლის დამთავრების შემდეგ მსმენელებმა მიიღეს ორი სერთიფიკატი (მოწმობა), რომელთაგან ერთი გადასცა საქართველოს, მეორე კი აშშ-ს მხარემ.

ამის შემდგომ მსმენელებს შორის ჩატარდა კონკურსი და შეირჩა სამი საუკეთესო ახალგაზრდა, რომლებიც სტაჟირებას გაივლიან კალიფორნიის შტატის სასწავლო ცენტრებსა და საწარმოებში, სადაც ისინი გაეცნობიან ამერიკულ საბანკო სისტემას, იაპონური კომპანიების „სონისა" და „სანიოს" ამერიკული ფილიალების საქმიანობას, მცირე ბიზნესის თავისებურებებს.

დაბოლოს, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეთიკა მოითხოვს, მადლობას ვუხდით ამ საქმის სპონსორებსა და ორგანიზატორებს.

შოთა ვეშაპიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.




საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „ფიროსმანის მეგობრები"
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი
საქართველოს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნის ხელშემწყობი ფონდი „ბანკირი"
მოწმობა №
მიეცა
მასზე, რომ მან 1991 წლის „—" —— დაამთავრა ბიზნესის უმაღლესი სკოლა.
Georgian association for culture and Education „Friends of Pirosmani"
Institute of Management of National Economy under the Ministry of Science and Technology of the Republic of Georgia
Fund „Banker" for Georgian Independent Credit and Monetary System
Certificate №
Certifies that Mr./Mrs. ——
Has Gratuated From Business High School on
—— 1991
President of the Association — Principal of the Institute — Chairman of the Board of the Fund
V. Mchedlishvili — L. Marshania — R. Kortava

სურათებზე: ბიზნესის სკოლის შექმნის ქართველი და ამერიკელი ინიციატორები და ლექტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): მიხეილ კორტავა, შოთა ვეშაპიძე, ირვინ ლენდი, ლეო გოლდბერგი, ლოურენს მანლი, ფრედერიკ ჰუბერი, ვასილ მჭედლიშვილი; ლექციას კითხულობს ლოურენს მანლი; საქართველოსა და აშშ-ს მიერ გაცემული სერთიფიკატები.

კომენტარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლელობა ამერიკულად? არა, ქართულად!







დიახ, ადრე შეიძლება, გვაძრწუნებდა კიდეც ამერიკულ ფილმებში ნანახი მკვლელობანი, მაგრამ ახლა ასეთი სიუჟეტები უცხო აღარ არის ჩვენთვის — საქართველოში უამრავი მკვლელობა ხდება და ამ ფაქტს ვერ უშველა თვით უწმინდესისა და უნეტარესის მიერ შეჩვენებამაც. და იქნებ, ადამიანურ ურთიერთობათა თვალსაზრისით, „ქართული სიუჟეტები“ უფრო მწვავე და შემაძრწუნებელია კიდეც, ვიდრე იმ „ბოევიკებში“ გათამაშებული უაზრო სცენები.

დიახ, არ ვიცით, რაღაც წვრილმანებზე კინკლაობისათვის თუ იმეტებენ ამერიკაში ერთმანეთს მეზობლები, მაგრამ ჩვენთან თუ ასე ხდება, მიზეზი მხოლოდ ჩვენი ცხოვრებით შექმნილი ყოფითი პრობლემები კი არა, ალბათ, ძველქართული კეთილმეზობლურ ტრადიციათა დავიწყებაცაა.

ფაქტი

გუშინწინ, ღამით, თბილისელმა ნუგზარ მაისურაძემ (დაბადებული 1951 წ., მცხოვრები ბელინსკის ქ. № 5) კალაშნიკოვის მარკის ავტომატით დახოცა თავისი კარის მეზობლები: ოთარ, მარო (ცოლ-ქმარი), ნუნუ და მერი (მათი შვილები) იაშვილები. ოჯახში ცოცხალი მხოლოდ ნუნუ იაშვილის 4 წლის ბავშვი გადარჩა.

გუშინ...

ბელინსკის ქუჩას ჩვენი რედაქციის ფანჯრები გადაჰყურებს. ნუგზარ მაისურაძეს, თბილისის სატვირთო ავტოკოლონის მძღოლს ჩვენს გამომცემლობაში ბევრი იცნობდა კიდეც.

სახლის წინ ხალხი დგას. ნაცნობები, მეზობლები დამნაშავესა და დაზარალებულთა შორის კონფლიქტის შესახებ მსჯელობენ. მეზობლებს გავესაუბრეთ:

— ათი წელია აქ ვცხოვრობთ. ორივე ოჯახს დიდი ხანია ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. რაღა არ იყო ამის მიზეზი: ერთმა მხარემ ტუალეტი ააშენა, მეორე მხარემ ეზო რატომ დააპატარავეო, მეორემ ყვავილები დარგო. პირველმა ვინ მოგცა ამის უფლებაო. მაღლიდან წყალი რატომ ჩამოასხი, ჩვენ გვეწუწებაო; ნაგვის ვედრო გარეთ რატომ დგას, სუნი გვაწუხებსო. ხან შერიგდებოდნენ კიდეც. იაშვილებმა მაისურაძეებს სახლის აშენების უფლება მისცეს, მერე კი, მგონი, ემუქრებოდნენ, დაგანგრევინებთო. და რა ვიცი კიდევ... ბევრის გახსენება შეიძლება. ორი წლის წინათ ორივე ოჯახის ქალებმა ერთმანეთი სცემეს კიდეც.

— ბოლო დროს ნუგზარი გაბოროტებული ჩანდა, ის გოგოებიც აღარ ჩერდებოდნენ. ვფიქრობდი, ღმერთო რა მოუვიდათ, აღარ მოსწყინდათ-მეთქი? ორივე მხარე სულ უჩიოდა ერთმანეთს, მაგრამ, ეტყობა, წესიერად ვერავინ მოიცალა ამ საქმისათვის, არაფერი გაკეთდა უბედურების თავიდან ასაცილებლად. თვითონვე ამბობდნენ, მიხედეთ ამ ამბავს, თორემ მკვლელობით დამთავრდებაო.

მკვლელობის წინ

მეზობლის ნაამბობიდან: ტელევიზორს ვუყურებდი, საშინელი ხმაური რომ შემომესმა. გადმოვიხედე აივნიდან. ერთ-ერთი იაშვილი (პატარა გოგოს დედა) აივნის ქვეშ იდგა გასისხლიანებული — თვალი წამომთხარეს, გვიშველეთო. ამ დროს მეორე დამ ზევიდან დაუძახა, დედა კვდებაო. კიბეებზე რომ ავიდა, ვხედავ, დგას მაისურაძე კიბის ბოლოში ავტომატით ხელში. ორივე დაცხრილა.

მეორე დღეს

თბილისის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში დამნაშავე დაკითხა პროკურორმა გიორგი აგლაძემ.

იქ თავშეყრილ დამნაშავის ნათესავებს გავესაუბრე. გვითხრეს, კაცი აიძულეს მკვლელი გამხდარიყო. ბინის გადაცვლა უნდოდა, იაშვილებს რომ მოშორებოდა, მაგრამ მათ არ მისცეს საშუალებაო. არაერთხელ მიმართა დახმარებისათვის ყველა ორგანოს, მაგრამ ამაოდო. ერთ-ერთმა ნათესავმა ქალმა კი ვაჟკაცი ყოფილა, ვენაცვალე ხელებში, ღირსები იყვნეო (?!).

მთაწმინდის რაიონის პროკურორი **გიორგი აგლაძე:** მკვლელობა ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, რაც გამოიხატა იმაში, რომ დამნაშავემ ეს ჩაიდინა მცირეწლოვანი ბავშვის თვალწინ და მოუკლა დედა, ბებია, დეიდა, ბაბუა. მკვლელობისას გამოყენებულ იქნა კალაშნიკოვის მარკის ავტომატის 58 ცალი საბრძოლო ვაზნა.

●

ცხადია, მოწმეთა მიერ აქ მოყვანილ ფაქტებს, აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია არა აქვს.

დანაშაულის მიზეზებს, ყველა დეტალს, ალბათ, გამოძიება დაადგენს. სასამართლო კი დამნაშავეს სათანადოს მიუზღავს.

მაია თუნგია

აი, ასე, ერთი შეხედვით, უბრალო კინკლაობა თუ დაპირისპირება, რომელსაც, ალბათ, თავის დროზე არც მეზობლებმა და ნათესავ-მეგობრებმა, და არც სათანადო ორგანოებმა ყურადღება არ მიაქციეს, ტრაგედიად იქცა. გაიხსენეთ გახმაურებული მკვლელობა თბილისში, როცა ერთ საათში მკვლელმა ორი კაცი იმსხვერპლა და ერთი მძიმედ დაჭრა. იმ ტრაგედიასაც მეზობლური კონფლიქტი ედო საფუძვლად.

აი ასე, სარეცხის თოკებისა და ჭერიდან ჩამოსული წყლის გულისთვის ვლანძღავთ, ვაგინებთ ერთმანეთს და ბოლოს, ჩვენი წყენის დამადასტურებლად უფრო „არგუმენტირებულ ლონისძიებასაც“ არცთუ იშვიათად მივმართავთ — ვხოცავთ ერთმანეთს დანებითა თუ ავტომატებით, სკამის ფეხებითა თუ რკინის ხელკეტებით თავებს ვუხეთქავთ და მტრის გასახარად ისედაც დალეული და დაქცეული ჩვენი ერი, კიდევ უფრო ილევა და იქცევა, უაზრობას ეწირება ჩვენი სიცოცხლე, ერის ბედნიერებასა და მომავალს ასე რომ სჭირდება.

და უკვე მერამდენედ ვსვამთ კითხვას — სადამდე? როდისღა უნდა მოვიკრიბოთ გონი და შევჩერდეთ?

ფერილი რედაქციას

მეოთხე აღმოჩენა

პატივცემულო რედაქცია, წავიკითხე გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (18.06.1991) ინტერვიუ — „მესამე აღმოჩენა“ და დიდი სიამოვნებით გავიგე ქართველი და რუსი ავტორების მიერ დიდი და დაძაბული მუშაობის შედეგის აღმოჩენად აღიარება, რომელშიც უდიდესი წილი მიუძღვის პროფესორ ჯაბა ონიანს.

აღმოჩენა, რომლის ნომერია 396, ეხება მცენარეულ უჯრედში პროტოპლაზმის მოძრაობისა და მემბრანული პოტენციალის რეცეპტორული რეგულირების კანონზომიერებას. აზლა მინდა მოგახსენოთ ერთი სტატისტიკური უზუსტობის შესახებ: წერილის მიხედვით ეს არის ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით განხორციელებული რიგით მესამე აღმოჩენა. სამედიცინოდ, იგი არის არა მესამე, არამედ მეოთხე აღმოჩენა.

პირველი ქართველი ავტორი — აღმოჩენის დიპლომის მფლობელი არის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი შერმაზან ყაყიჩაშვილი (მისი აღმოჩენა ეხება ჰოლოგრაფიის საკითხებს. აღმოჩენის სათაურია: „ელექტრომაგნიტური ველის ტალღური სურათის წარმოსახვის მოვლენა“), მეორე გახლავთ — მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი გიორგი მჭედლიშვილი (მისი აღმოჩენა, რომლის ნომერია 250, ასეთი სახელწოდებისაა: „მაგისტრალური და პიალური არტერიებით ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულირება“). ამის თაობაზე ჩვენ უკვე ვწერდით წიგნში — „პატენტმცოდნეობისა და ახალი ტექნიკის ეფექტიანობის საფუძვლები (თსუ გამომცემლობა, 1984 წ. გვ. 36), ხოლო ქართველ ავტორთაგან რიგით მესამე აღმოჩენა გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა, ბატონმა აღბერტ თავხელიძემ (ორ მოსკოველ თანაავტორთან ერთად) 1990 წლის დასაწყისში. აღმოჩენას საფუძვლად დაედო ბატონ ალბერტის მიერ ბირთვული ფიზიკის დარგში შექმნილი თეორია ელემენტარული ნაწილაკების აქამდე უცნობი კანონზომიერებების შესახებ (ე.წ. ფერის რიცხვების განსაზღვრა). აღმოჩენამ დასახა ახალი მიმართულება მაღალი ენერგიების ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში. დაბოლოს, ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ბატონ ჯაბა ონიანს და ბატონ მორის ლომსაძეს მათი ოცწლიანი შრომის აღმოჩენის უფლების აღიარებას.

რევაზ ბერულავა
საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სპეციალისტი

● გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ივანე მაჩაბლის საზოგადოების ფონდში.

მარტოხელათა საყურადღებოდ

საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ სათნოების სახლში მუშაობა დაიწყო უსასყიდლო მომსახურების აფთიაქმა. იგი ემსახურება მარტოხელებს, რომელთაც 70 მანეთამდე პენსია აქვთ.

ამგვარ ადამიანთა სიები ქალაქის სოციალური უზრუნველყოფის რაიონულმა განყოფილებებმა მოგვაწოდეს, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

ამასთან არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი მათგანის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნდეს. ასეთ შემთხვევაში გთხოვთ, გვეწვიოთ სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის გამზირი 121, ოთახი № 5) ან დაგვირეკოთ ტელეფონით 93-82-74.

სათნოების სახლი (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

რას გვპირდება „შთაგონება?“

„შთაგონება“ დამოუკიდებელი ლიტერატურულ-მხატვრული გაზეთია, გამოდის გორში, თვეში ორჯერ.

პირველი ნომრის საპროგრამო-სარედაქციო წერილში რედაქცია აცხადებს: „ახლა ქართველი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლის ვალია მეტი ერთგულებით ამოუდგეს მხარში თავის ერს, მაგიური ძალა მიანიჭოს სიტყვას და სიმღერას, ცეკვას და ფუნჯს, ეკრანს და სცენას. „შთაგონებაც“ სწორედ ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანას აპირებს. მისი მიზანია გორში, გორის რაიონსა და მის მეზობელ რაიონებში მცხოვრებ პროფესიონალ თუ დამწყებ მწერლებს საშუალება მისცეს გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები, აიმაღლონ ოსტატობა და ღირსეულად გააგრძელონ ის მდიდარი ლიტერატურული და კულტურული ტრადიციები, რომელიც ყოველთვის გააჩნდა გორსა და ქართლს საერთოდ“,

გაზეთის გამოცემა და პირველი ნომრების სპონსორობა იკისრა გორის რაი-კოოპერატორთა გაერთიანებამ, კერძოდ კი კოოპერატივმა „განთიადმა“ (თავმჯდომარე კუკური ლევიაშვილი).

დღემდე უკვე გამოიცა „შთაგონების“ ხუთი ნომერი. მათში არაერთი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული, არაერთი ახალგაზრდა მწერლის დებიუტიც შედგა, გაზეთის რედაქტორია პოეტი ალექსანდრე ტაბატაძე.

„შთაგონების“ მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს. იმედია, მათი განხორციელებით კი იგი მკითხველთა წრეს გაიფართოებს.

ზორენა ბოჭორიშვილი



მისალები გამოცდების ბოლოდროინდელი

თენგიზ ფეტრაძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი

მისაღები გამოცდები უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე რთული და დამუხტული პროცესია.

ახლახან გამოქვეყნდა („ახალგაზრდა ივერიელი“, 18. 04. 91) უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები. იგი ძირითადად იმეორებს ბოლო წლებში მოქმედ ნორმებს, გარდა ზოგიერთი მცირედი ცვლილებებისა. მაგალითად შემოთავაზებულია შეფასების ათქულიანი სისტემა. ჩვენთან ეს სიახლე არ არის, რადგან აკადემიაში ასეთი სისტემა უკვე ორი წელია მოქმედებს და არცთუ ურიგოდ. მე ძირითადი კონტინგენტის გამოცდებს ვგულისხმობ და არა შარშანდელ „მასობრივ გაწვევას“ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის უარყოფით შედეგს ალბათ წლების მანძილზე მოვიმკით.

ჩემი აზრით, ახალმა კონცეფციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეასრულოს არტაზების როლი. იგი უნდა იძლეოდეს უმაღლესი სასწავლებლის თავისებურების გათვალისწინების საშუალებას, წინაალმდეგ შემთხვევაში კვლავ ნიველირების, ერთ საზომზე მოჭრის საშიშროება გველის და უმაღლესი სკოლა კვლავ დარჩება დიპლომების მტვიფრავ კონვეიერად.

რეფორმების შემუშავებისას აუცილებელი იქნება უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინება. მათ შორის მისაღები კონტინგენტის შერჩევისას. პირადად მე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია: ტესტირების ფართოდ გავრცელებული სისტემა, რომელიც აბიტურიენტის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შესაძლებლობების თითქმის სრული გამოვლენის საშუალებას იძლევა.

წელს, აკადემიაში არქიტექტურის სპეციალობაზე გასაუბრების ანუ პირველი ტურის დროს ტესტირებას ჩავატარებთ, რაშიც ფაკულტეტის კათედრებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი დაეხმარა. ტესტები აპრობირებული იქნა გამოსაშვებ კლასებში და დამუშავდა გამოთვლითი მანქანის საშუალებით. ყოველი სიახლის დამკვიდრება სპეციალისტთა გარკვეულ ნაწილში უარყოფით რეაქციას იწვევს, ამიტომ ყოველი ნაბიჯის დასაბუთებაა საჭირო. ყოველ შემთხვევაში აჩქარება დაუშვებელია...

სიახლეთა მთელი კომპლექსი მომავალი წლისთვის დამუშავდება.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახლა კი მისაღები — „წესების“ მიმართ რამდენიმე შენიშვნა მინდა გამოვთქვა:

ვფიქრობ, გაუმართლებელია შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლებისათვის შეღავათების მეორე ბლოკი, რომელიც კონკურსგარეშე ჩარიცხვას ითვალისწინებს. ამ ბლოკში აბიტურიენტთა ის კატეგორიაა ნაგულისხმევი, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ სოციალურ მხარდაჭერასა და დახმარებას მოითხოვს, მაგრამ არა კონკურსგარეშე ჩარიცხვით. მკრეხელობად ნუ ჩამოთვლება იმის განცხადება, რომ სრულიად გაუმართლებელია, ინვალიდობის გამო ახალგაზრდის ჩარიცხვა უმაღლეს შემოქმედებით სასწავლებლებში „სამიანებით“ (შეფასების ძველი სისტემით) და მაღალქულიანების, შესაძლოა უმაღლესი ქულიანების გარეთ დატოვება. ეს სისტემა განსაკუთრებით მიუღებელია სამხატვრო აკადემიისათვის, სადაც უმეტეს სპეციალობებზე სამი, ოთხი საკონკურსო ადგილია. ამასთან ეს უუნარობა წმინდა ადამიანური თვისებების დეფორმაციას იწვევს — სწავლისას გულის აცრუებას, შემდგომ შურიანობას, ბოღმას, თავის გატანის ძალისმიერ მეთოდებს და სხვა. ეს ყველაფერი შემოქმედებით წრეებში კარგად არის ცნობილი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ჩემი აზრით, უახლოეს მომავალში ძირეულად უნდა შეიცვალოს მისაღები კონტინგენტის შერჩევის მეთოდი და ფორმები, ფართოდ უნდა დაინერგოს ტესტირების სისტემა, რომელიც აბიტურიენტის შემოქმედებით-ინტელექტუალური შესაძლებლობების თითქმის უტყუარ სურათს იძლევა (უცხოეთის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით). მე აღარაფერს ვამბობ შემდგომი სწავლების მეთოდიკასა და ფორმებზე.

მხოლოდ ასე გადავწყვეტთ ჩვენ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მომავლის შენების საკითხს — ამ მომავლის უპირველესი მშენებელი კი დღევანდელი ახალგაზრდობაა...

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის...

ვლადიმერ ბაგუა — თბილისის სულხან-ბაბა ორბელიანის ხელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

გასული ორი წლის მანძილზე ჩვენს ინსტიტუტში გასაუბრების წესით უგამოცდოდ ვღებულობდით სოფლის მასწავლებლებს, რომელთაც მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი ჰქონდათ. ბოლო პერიოდში ეს შეღავათი რაიონულ ცენტრებზეც კი დაუშვეს. ყოველივე ამან არაჯანსაღი კლიმატი შექმნა რაიონებში. ამიტომ, წელს მისაღებ გამოცდებზე მათ არავითარი შეღავათი აღარ ექნებათ.

ჩვენთან, მისაღები გამოცდები შეუძლია ჩააბაროს ყველამ, განურჩევლად პროფესიისა. მაგალითად, თუ ჩარხმშენებელს სურს ისტორიკოსი გახდეს, მას უფლება აქვს შემოიტანოს საბუთები და ჩვეულებრივ მიიღოს კონკურსში მონაწილეობა.

თუ ადრე დღის განყოფილებაზე შეღავათებით სარგებლობდნენ ოქროს მედალოსნები, ახლა ისინიც არანაირი შეღავათებით არ ისარგებლებენ. უპირატესობა რჩებათ მხოლოდ პირველი და მეორე კატეგორიის ინვალიდებს, ობლებს, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე იზრდებიან ან არიან აღზრდილნი. რა თქმა უნდა, ისინი ინსტიტუტში ჩაირიცხებიან მხოლოდ დადებითი ნიშნების მიღების შემდეგ.

დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ წერითი გამოცდა კვლავ ძველი წესით ჩატარდება (თემების წესით).

სიახლეა ისიც, რომ ინსტიტუტში მიმღები კომისია შევცვალეთ 50 პროცენტით, ძირითადად ვეყრდნობით ინსტიტუტის ბაზას, მაგრამ წელს თბილისის სხვადასხვა სკოლებიდანაც მოვიწვევთ კვალიფიციურ მასწავლებლებს.

არის კიდევ სხვა სიახლეც: ნაშრომის გასწორებისას მოიხსნა შიფრი. ახლა გამსწორებელს ეცოდინება თუ ვის თემას ასწორებს, ამავე დროს აბიტურიენტისათვისაც საიდუმლო აღარ იქნება ვინ გასწორა მისი ნაშრომი. ვფიქრობ, ეს აამაღლებს აბიტურიენტისა და გამსწორებლის პასუხისმგებლობას.

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, ძველი გზით სიარული აღარ შეიძლება. რაღაცნაირად უნდა ვეცადოთ, გამოვასწოროთ ის შეცდომები, როდესაც ახალგაზრდები სხვადასხვა გზებით ხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ამდენად, ჩვენი ინსტიტუტი, ყველაფერს გაკეთებს იმისათვის, რომ წლევანდელი მისაღები გამოცდები პრინციპულად და ობიექტურად ჩატარდეს.

სხვა გაზეთებიდან

საჰიროა ნახტომი კაპიტალიზმში

ახლახან „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის შინა პრობლემების ანალიზისადმი მიძღვნილი წერილი, რომლის ავტორი კერძოდ წერს: „არსებობს მდგომარეობის ფამოსწორების ერთადერთი გზა, ესაა ნახტომი კაპიტალიზმში. ქმარა გაუბედავი ნაბიჯები, რეფორმების შესახებ ცრუ განცხადებებით ჰაერის აფეთქება და იმის იმედზე ყოფნა, რომ დასავლეთის ქვეყნები დასახმარებლად და გადასარჩენად მოვლენ“.

ეორჯ მარშე უკმაყოფილოა

საკრესის არხებით გადაიცა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ეორჯ მარშეს სიტყვები. მან თქვა: „საბჭოთა კავშირში და კერძოდ რუსეთში მიმდინარე ბრძოლებნი არ აღაფრთოვანებს საფრანგეთის კომპარტიას, მაგრამ ვერც საზოგადოების გარდაქმნის ვზიდან გადაახვევინებს. რუსეთის პრეზიდენტად ბორის ელცინის არჩევა და ლენინგრადისათვის კვლავ სანკტ-პეტერბურგის დარქმევა კომპარტიისადმი და მთლიანად სოციალიზმისადმი ნდობის დაკარგვაზე მიუთითებს“.

მოხვდება თუ არა ელცინი გინესის წიგნში?

სვამს კითხვას „კომსომოლსკაია პრავდა“ (№ 137) და მკითხველს აუწყებს, თუ როგორ გადასწყვიტა რსფსრ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმები (პრეზიდენტობის კანდიდატთა სიები ანბანის მიხედვითაა დალაგებული): ვ. ბაკატინმა მიიღო 2 მილიონ 535 ათასი, ანუ ხმათა 3,47 პროცენტი; ბ. ელცინმა — 41 მილიონ 888 ათასი, ანუ 57,38 პროცენტი; ვ. ჟირინოვსკიმ — 5 მილიონ 796 ათასი, ანუ 7,94 პროცენტი; ა. მაკაშოვმა — 2 მილიონ 774 ათასი, ანუ 3,8 პროცენტი; ნ. რიჟკოვმა — 12 მილიონ 621 ათასი, ანუ 17,29 პროცენტი; ა. ტულეევმა — 4 მილიონ 452 ათასი, ანუ 6,1 პროცენტი.

ბორის ელცინმა, 4 ოქტომბრიდან, ყველგან ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა. მსოფლიოს ბევრი პოლიტიკოსი როდი დაიკვეხნის მიღებულ ხმათა ასეთი რაოდენობით — ხაზს უსვამს „კომსომოლსკაია პრავდა“.

მინისტრმა იცის, სად გაგზავნოს საბჭოთა პრესა

სსრკ ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი მ. შადოვი უკვე კარგადაა ცნობილი თავისი სკანდალური ისტორიებით და მაგარ-მაგარი გამოთქმებით.

აი, ახლახანაც ყარაგანდაში პრეზიდენტ ნაზარბაევის თხოვნით ჩასულმა შადოვმა, კუზემბაევის სახელობის შახტის დათვალიერების შემდეგ ქმაყოფილმა რამდენიმე სიტყვა ესროლა იქ შეკრებილ რეპორტიორებს: „აი, ჟურნალისტებს კი, თუ თავნებობას არ მოიშლიან, სამ ასოზე გავგზავნით. უკვე არის ამის პრეცედენტი...“

აღშფოთებულმა ყარაგანდელმა ტელეჟურნალისტებმა საოლქო ტელევიზიით უკვე გადასცეს შადოვის „ბრწყინვალე გამოსვლის“ ამსახველი სიუჟეტი. მაგრამ, როგორც „კომსომოლსკაია პრავდა“ (№ 137) იუწყება, ისინი ახლა აღნიშნული სიუჟეტის გადაცემის უფრო ფართო არხს ეძებენ — საკუთარი „გმირების“ ამბავი ხომ მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს!

„შავი ჰირი“

ამ ბოლო ხანებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მედიკოსები შეეჯახნენ მეტად საშიშ სინდრომს, რომელიც შიდსზე არანაკლები საიდუმლოებითაა მოცული. პედიატრები შეშფოთებულნი აღნიშნავენ, რომ დაბადებიდან სულ რამდენიმე დღეში ახალშობილები ყოველგვარი მიზეზის გარეშე იღუპებიან თავიანთ საწოლებში — უბრალოდ იძინებენ და აღარ იღვიძებენ. ისევე როგორც შიდსს, ამ ბოროტ სინდრომსაც თავისი საყვარელი ქვეყნები ჰყავს ამორჩეული. ევროპაში ესაა ნორვეგია, სადაც ამ ბოლო ხანებში ორჯერ გაიზარდა ეგრეთ წოდებული „სიკვდილი აკვანში“. გასულ წელს აქ 140 ასეთი შემთხვევა აღირიცხა, სამჯერ მეტი, ვიდრე მეზობელ ფინეთში, სადაც სამედიცინო მომსახურების დონე თითქმის ისეთივეა, როგორც ნორვეგიაში.

ნორვეგიის ქალაქ ტრონდჰეიმში ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც 200 სპეციალისტი-მკვლევარი, საავადმყოფოთა მედპერსონალის წარმომადგენლები და დაღუპული ბავშვების მშობლები შეიკრიბნენ, პრაქტიკულად ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. თუმცა ჰიპოთეზა მრავალი იყო. კონფერენციაზე შეკრებილი მშობლების გამოკვლევამ ამ დაავადების გარკვეული მიზეზი მაინც გამოამჟღავნა, კერძოდ, აღინიშნა, რომ ფეხმძიმობის დროს ნიკოტინის და ალკოჰოლის მიღება სუსტი ბავშვის დაბადების 100-პროცენტიანი საფუძველია („ტრუდი“ № 134).

კერი სკოტლენდი თუ... ბრიტანეთის დედოფალი?

ბი-ბი-სის ცნობით, ბრიტანელმა ჟურნალისტმა ქალმა კერი სკოტლენდმა წელიწადნახევარი გაატარა საბჭოთა არმიაში, სადაც მასალებს აგროვებდა თავისი მომავალი წიგნისათვის. სკოტლენდი ბევრ გარნიზონში იყო და, სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსის გარდა, ნახა ყველაფერი, რაც აინტერესებდა. როგორც თავად ჟურნალისტი აღნიშნავს, მას ყველგან და ყველა — შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსებიდან ახალწვეულებამდე — გულითადად ხვდებოდა, თუმცა უკრაინელ სამხედროთა მასპინძლობამ მაინც ყველაფერი დაჩრდილა. ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სკოტლენდს შამპანურითა და ხიზილალით და, რაც მთავარია, რაღაც განსაკუთრებულად გამორჩეული მოწყნებითა და პატივით შეხვდნენ. ჟურნალისტმა უმალ იგრძნო, რომ ვიღაცაში ეშლებოდათ. და მართლაც, მეორე დღეს, როცა მასთან პატარა გოგონა მივიდა და ჰკითხა: „თქვენი გვირგვინი სადღააო?“ — ყველაფერი გაირკვა. თურმე, აქ კერი სკოტლენდი, არც მეტი არც ნაკლები, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ეგონათ. ყველაფერი კი იმას გამოუწვევია, რომ სწორედ იმ პერიოდში დიდ ბრიტანეთში ვიზიტად იმყოფებოდა მიხეილ გორბაჩოვი, რომელსაც ბრიტანეთის დედოფალი საბჭოთა კავშირში მოუწვევია („არგუმენტი ი ფაკტი“ № 22).

სანიფვათო „ცაცაში“

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რესპუბლიკისა და კერძოდ, თბილისის კრიმინალური სტატისტიკის ნუსხაში გაჩნდა იმპორტული წარმოების მომწამლავი. გაზის „სიესის“ დასახელება. ამ გაზის ბალონებით ვაჭრობის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. ჯერ კიდევ 1989 წლის დეკემბერში ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-2 კვარტლის ერთ-ერთ ბინაში ვაკის რაიონის მილიციის I ქვეგანყოფილების მუშაკების მიერ დაკავებული იქნენ ლიტველები ალექსანდრე კომაროვი და აივარას მაკშტასი, რომლებსაც აღმოაჩნდათ გაზის 60 ბალონი.

ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით მოსახლეობისათვის უკვე ცნობილია და მეც მინდა გავიმეორო, რომ თბილისის სამხედრო გარნიზონის სუკ-ის მუშაკი ვლადიმერ აბაკუმეცი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობით მოწოდებული იყო აღეკვეთა ყოველივე კანონსაწინააღმდეგო ქმედობანი, ამ საშიში გაზის ბალონებით ვაჭრობდა. ისნის რაიონის მილიციამ მას ბინაში ასეთი ნივთიერების 100 ცალი ბალონი აღმოუჩინა. რამდენიმე უკვე გაყიდული ჰქონდა კიდეც 300-320 მანეთად თითოეული.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მესვეურთა მისამართით ვიტყვით, რომ „სიესის“ ბალონები ხშირად ჩვენს ქალაქში სამხედრო პირებს შემოაქვთ.

მთაწმინდის რაიონის მილიციამ მიმდინარე წლის 3 თებერვალს დაიკავა უფროსი ლეიტენანტი ევგენი კაჩახი და ლეიტენანტი იური მატვეევი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ბალონი „სიესის“ გაზით. ამავე გაზის ბალონი აღმოუჩინეს ჩუღურეთის რაიონის მილიციის მუშაკებმა ა. წ. 4 თებერვალს სამხედრო მოსამსახურეს ვიტალი დომრაჩევს.

ასეთი ვაისტუმრები — ბრიანსკელი ლ. ნუროევი, სიმფეროპოლელი ე. ბატკო, მოსკოველი ე. ტესლენკო, ტაგანროგელი ა. კალუჟინი, პოლონელები ვ. მარიანი და ს. კრუკოვსკაია — დაიკავეს გლდანის, ვაკის, მთაწმინდის, კრწანისის რაიონების მილიციის თანამშრომლებმა, რომლებსაც სულ 15 ბალონი მომწამლავი გაზი აღმოუჩინეს. ჩუღურეთის რაიონის მილიციამ გურჯაანელ ა. მღებრიშვილსაც აღმოუჩინა „სიესი“. ისნის რაიონის მილიციის თანამშრომლებმა კი თბილისელებს — მ. ავეტისოვს და გ. გარუნავას.

რატომღაც ამ უკანასკნელ პერიოდში ეს პატარა და მეტად მუხანათი ბალონი მანდილოსნებსაც უვარდებათ ხელში და ხშირად ამ ნივთიერებით მათი „შეიარაღება“ არც თუ ისე კარგად მთავრდება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეტროს სადგურ „დიდუბის“ შესასვლელთან ორ ქალს მთვრალმა ახალგაზრდამ გზა გადაუღობა. ამ ქალებმა არც აციეს, არც აცხელეს, ხელჩანთიდან „სიესის“ ბალონი ამოიღეს, სახეში მიაკურეს ყვიმატ მოარშიყეს და კინაღამ სული გააფრთხობინეს. იგი სასწრაფოდ მოთავსდა საავადმყოფოში.

საკითხავია, რაში სჭირდებოდა მ. კოსტავას ქუჩაზე მდებარე ქალთა სპორტმაზეროს ოსტატს ცირა დუმოევას „სიესის“ ბალონი, რომელიც მან შეიძინა მე-4 სამშობიაროს სანიტარ ნატალია ოსიპოვისაგან? ან საიდან ჰქონდა უკანასკნელს ეს ნივთიერება? ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს, მაგრამ ერთი კი ნათელია: ასეთი ნივთიერებებით „თამაში“ არ შეიძლება. მოვუწოდებ მოსახლეობას ნებაყოფლობით ჩაბარონ სხვადასხვა საეკვო გზით შეძენილი ყოველგვარი მომწამლავი ნივთიერება, რითაც თავიდან აიცილებენ როგორც საკუთარ, ასევე სხვების უბედურებას, და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც.

ილია ზონია,
თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსი.

დუმილით გამხელილი სიყვარული



ამ რამდენიმე წლის წინათ ექსპედიციაში გახლდით, ხევსურეთში. მეგზურობას ერთი ახალგაზრდა გვიწევდა, ოცდაათისა თუ იქნებოდა, დანიელი ერქვა. ცოტა მეცნაურა და ვკითხე, ხევსურ კაცს დანიელი ვინ დაგარქვა-მეთქი.

— ჩვენები თურმე, პირველი შვილის დაბადებას ელოდნენ. დედა ცუდად გამხდარა. მაშინ სოფელში მანქანაც არავის ჰყოლია. რაღა ბევრი გავაგრძელო და დუშეთიდან ექიმი ცხენით ამოუყვანიათ. მთელი ღამე დედაჩემის საწოლთან გაუთენებია. გამთენიისას დავბადებულვარ. ის ექიმი დანიელ აბსანძე იყო, დედამაც ამიტომ დამარქვა მისი სახელიო.

ამ ისტორიის მოსმენის შემდეგ წლები გავიდა და მსგავსი რამ კვლავ მოვისმინე, მაგრამ ამჯერად სრულიად სხვისგან. მერე მითხრეს, დუშეთის რაიონში დანიელ აბსანძის სიყვარულითა და პატივისცემით ეს სახელი სხვებსაც ჰქვიათო.

სოფელ ანანურთან, გზისპირას ქალები ჩამომსხდარან. გამოველაპარაკე, ბატონ დანიელზე ვკითხე — ჩემი ოთხივე შვილი მაგ კაცმა გადამირჩინა, განა ტყუილად უთქვამთ, ფეხმძიმე ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგას, ყველა მოსარჩენი და გადასარჩენია.

ერთხელ დანიელ ექიმი თბილისიდან დუშეთს მიემგზავრებოდა თურმე. ავტობუსში რომ ასულა, სალონში ყველა ქალი ფეხზე წამომდგარა, მძღოლს მანქანა გაუჩერებია და შეშფოთებულს უკითხავს: რაი მოგვიდათ, ხალხო? ეს იყო ამგვარად, დუმილით გამხელილი სიყვარული, დუმილით ნათქვამი მადლობა. დანიელ აბსანძემ 30 წელი იმუშავა დუშეთის რაიონში. ასობით მშობიარე მიიღო, ასობით დედის სიხარულის მოწმე გახდა და, ამ ხნის მანძილზე, არც ერთი დედა არ დაღუპვია. დღესაც იგონებენ დუშეთის რაიონის საავადმყოფოში — ჩქარა! იტყოდა დანიელ ექიმი დინჯი, მოზომილი ხმით და მის სიტყვებში არ იყო შიშისა და პანიკის ნატამალი, მაგრამ ვინც წლები მის გვერდით გავატარეთ, ვიცოდით თუ რას ნიშნავდა ეს „ჩქარა“. ყველა ფეხზე ვიდექით, იმ წუთში არსებობდა მხოლოდ საკუთარივით განცდილი სხვისი ტკივილი და ყველაზე მთავარი — ერთდროულად ორი ადამიანის — დედის და შვილის სიცოცხლის გადარჩენა.

ერთხელ, რომელიღაც სოფლიდან მეზობლებს მშობიარე ქალი მოეყვანათ, ქმარი ცხვარში ყოფილიყო და ამიტომ საავადმყოფოდან გაწერის დღესაც არავინ მოსულა. ქალი წუხდა, ტიროდა. მაშინ დანიელ ექიმს სახლში წაუყვანია დედა-შვილი. ალბათ, ამგვარი ერთგულება, სქმის სიყვარული იყო იმის მიზეზი, რომ ექიმისთვის არც დასვენების დღე არსებობდა და არც შვებულება, არც დღე და ღამე და არც მაღალმთიანი სოფლების სიშორე. ეიმედებოდათ და ნებისმიერ დროს ყველა პაციენტისათვის ღია იყო დანიელ ექიმის სახლის კარი. გაზვიადებულად ნუ მოგეჩვენებათ ყოველივე.

იმ დღესაც, სამსახურეული მობრუნებული ცუდად [illegible] გულს იტკივებდა. [illegible] ბიარის მშობლები მოვიდნენ ხევწნა-მუდარით — ჩქარა, დანიელ ექიმმა უნდა გვიშველოსო. ვერც ამჯერად გააწბილა ექიმმა პაციენტი და ეს ბოლო მშობიარის მიღება აღმოჩნდა. გულმა ვეღარ უერთგულა ექიმს.

ახლახან, დუშეთში ახალი საშობიარო სახლი გაიხსნა. ჯერ კიდევ მშენებლობის დროს უთქვამთ — საავადმყოფოს დანიელ აბსანძის სახელი დავარქვათო, მაგრამ მადლიერი ხალხის და კოლეგების ეს სურვილი მავანთა და მავანთა უგულისყურობით მხოლოდ ნათქვამად დარჩა... რაიონული გაზეთის ერთ-ერთ ნომერში კი ვკითხულობ: „1980 წლის იანვრის სუსხიანი დღე იდგა. დუშეთი და დუშელები გულწრფელი ცრემლით ეთხოვებოდნენ შესანიშნავ ექიმსა და მოქალაქეს დანიელ აბსანძეს. დილით რედაქციის შენობასთან შუახანს გადაცილებული ქალი დაგვხვდა, ხელში ქაღალდში გახვეული რაღაც ეჭირა, ეტყობა დიდხანს იცდიდა, რადგან ძლიერ იყო შეცივებული. შორი სოფლიდან მოყოლოდა ავტობუსს, აბსანძეებთან უნდოდა მისვლა, მაგრამ ჯერ დილა იყო და მორიდებოდა.

... დანიელ ექიმმა შვილი გადამირჩინა, მისგან სიცოცხლითა ვარ დავალებული — ნელა სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, ცრემლს ვერ იკავებდა — სუფთა თაფლის სანთელი წამოვიღე, ჩემი ხელით ჩამოჭნილი, უნდა ავუნთო, მეტი რა შემძლიაო“.

იქნებ იმ დღეს, დანიელ აბსანძის უკანასკნელ დღეს, მადლიერმა ყველა ქალმა გერ აანთო სანთელი, მაგრამ მათ გულებში ცოცხლობს დიდი ხსოვნა იმ აუნთებელი სანთელივით ჩუმი და სუფთა.

ნინო ჯვაჯანტირაძე.

საფორტეპიანო მუსიკის ზეიმი

ამას წინათ დიდძალი მსმენელი მოაწყდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზს. მსმენელთა ინტერესი განაპირობა იმან, რომ სოლო კონცერტს მართავდა საფორტეპიანო განყოფილების VIII კლასის მოსწავლე ნინო გურევიჩი, რომელმაც ამ კონცერტამდე სულ ცოტა ხნით ადრე კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარებულ სკოლის ორ საანგარიშო კონცერტზეც გამოიჩინა თავი.

ნინო გურევიჩის პედაგოგია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილების პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი ედიშერ რუსიშვილი. ...— ბეთჰოვენის სონატა № 3 თხზ. 2 დო მაჟორი, შუმანის ნოველეტი № 8, თხზ. 21 და სონატა № 2, სოლ მინორი, თხზ 22, მენდელსონის „სერიოზული ვარიაციები“, შოპენის „ანდანტე სპიანატო და დიდი ბრწყინვალე პოლონეზი“, მი ბემოლ მაჟორი, თხზ. 22. და „ბისზე“ შესრულებული ლისტის ეტიუდი ფა მინორი აი, ის დიდებული ნიმუშები კლასიკური და რომანტიული საფორტეპიანო მუსიკისა, რომელთა შემსრულებლად მოგვევლინა ეს კაფანდარა გოგონა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონცერტმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა მსმენელს. პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს ნინო გურევიჩის საშემსრულებლო ხელოვნებაში, ეს გახლავთ საოცრად დახვეწილი მუსიკალურობა და ნაწარმოების შესრულების ასევე საოცრად დახვეწილი „პიანიზმი“, რამაც უაღრესად დადებითი გამოხმაურება ჰპოვა დარბაზში მყოფ არაერთ ცნობილ ქართველ პიანისტში.

მართლაც, მოსმენილ ნაწარმოებებიდან ვერ დაასახელებდით ვერც ერთს, რომელშიც მეტნაკლებად არ გამოვლენილიყო ის ძვირფასი პიანისტური თვისებები, რომელიც აუცილებელია ნაწარმოების სრულყოფილი შესრულებისათვის. თუ ბეთჰოვენის მე-3 სონატაში, განსაკუთრებით მის ფინალში საოცარი სიმსუბუქით იქნა დაძლეული წმინდა ბეთჰოვენისეული პიანისტური სიძნელეები, შუმანის მე-8 ნოველეტი და უფრო მეტად მისი ბრწყინვალე № 2 სოლმინორული სონატა ერთ სუნთქვაზე, რომანტიული აღმაფრენით შესრულდა, თუ მენდელსონის „სერიოზულმა ვარიაციებმა“ გაიჟღერეს ამ მუსიკალური ფორმისათვის შესაფერისი სიმკაცრითა და აკადემიურობით, შოპენის „ანდანტე სპიანატო და დიდი ბრწყინვალე პოლონეზის“ შესრულებით მსმენელთა წინაშე წარმოჩნდა მთელი შოპენისეული მუსიკის სიდიადითა და მართლაც რომ მისი ჰეშმარიტი ბრწყინვალეებით.

კონცერტის ბოლოს, მსმენელთა დაჟინებული თხოვნით, ნინო გურევიჩმა შეასრულა ლისტის ფა-მინორული ეტიუდი. გესაუბრები კონცერტანტის დედას, თავად, მუსიკოსს ქალბატონ ლაური ბაბუციძეს. მისი აზრით, ამ კონცერტის წარმატების ფუძემდებელი პროფესორი ედიშერ რუსიშვილია. მან შესძლო მოსწავლის ბუნების გახსნა და სწორი გზით წაყვანა, ჩამოუყალიბა ფაქიზი მუსიკალური გემოვნება და აზროვნება. მისი დაუღალავი შრომის შედეგია ის მრავალრიცხოვანი წარმატებანი, რომლებსაც აღწევენ მისი აღზრდილები.

სავსებით შეიძლება დაეთანხმო მშობლის ამ გამონათქვამს პედაგოგის შესახებ.

ვუსურვოთ დამწყებ მუსიკოსს შემდგომი წარმატებები.

ალექსი ზანიძე,
კომპოზიტორი.

სურათზე: ნინო გურევიჩი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაერიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

მკითხველთა საყურადღებოდ!

საქონლის ისნის რაიონის გაერთიანების მაღაზიები:

„სხივი“ — ქეთევან წამებულის გამზირი № 3.
„ვარკეთილი“ — ვარკეთილი-3 I მ/რაიონი, კორპუსი 15.
„ცოდნისკარი“ — ვარკეთილი-3 II მ/რაიონი კორპუსი 9.
„სამგორი“ — კახეთის გზატკეცილი 34-ბ.
„ვაზისუბანი“ — ვაზისუბნის დასახლება I მ/რაიონი, მე-12 კორპუსი.
„პრომეთე“ — ვარკეთილი-3 III მ/რაიონი, კორპუსი 338.
„კავკასიონი“ — ვარკეთილი-3 IV მ/რაიონი, კორპუსი 407.
„ლილე“ — ბ. ხმელნიცკის ქ. № 25.

გვთავაზობენ შემდეგი დასახელების წიგნებს:

ი. გოგებაშვილი — „საღმრთო ისტორია“.
გ. რჩეულიშვილი — „თამარ ბატონიშვილი“.
დ. ახობაძე — „ცდომილია ცდომილი“.
აკ. გელოვანი — „რწმენა, ღმერთები, ადამიანები“.
აკიმუშკინი — „სახალისო ბიოლოგია“.
ვ. კუნინი — „ინტერგოგონა“.
ნორა კოტინოვი — „ნოდარ დუმბაძის გახსენება“.
დიმიტრი ყიფიანი — „შემუარები“.
შოთა ნიშნიანიძე — რჩეული I წიგნი.
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა I. II წიგნი.
ი. სუხოტინი — „სტალინის ვაჟი“.
თეიმურაზ მიბჩუანი — „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განახლებისა და კულტურის ისტორიიდან.
ნესტორ ყუბანეიშვილი — „საღვთო სკული“.
გრ. რჩეულიშვილი — „ქვრივის ლიმონები“.
ელგუჯა მაღრაძე — „გრიგოლ ორბელიანი“.
იგავნი იესო ქრისტესი.

სალიტერატურო ენის დიდი მოამაგე

ვარლამ თოფურია

ერთიანი, დახვეწილი სალიტერატურო ენა ერის ერთიანობის აუცილებელი პირობაა. ის მთელი ერის საერთო ძალაა — მისი შემკვრელი, გამაერთიანებელი ძალა. ამიტომ იღვწოდნენ ასეთი რუდუნებით მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი სალიტერატურო ენის უნიფიცირებისათვის, დიალექტიზმებისა და ბარბარიზმებისაგან, პარალელური და ხელოვნური ფორმებისაგან ენის გაწმენდისა და დახვეწისათვის. პრესის ფურცლებზე დაწყებული ეს ბრძოლა XX საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოს ყურადღების ქვეშ მოექცა. სწორედ იმ დროიდან ჩაება ამ დიდ ეროვნულ საქმეში გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვარლამ თოფურია. ახლად უნივერსიტეტდამთავრებული, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით იკვლევდა სალიტერატურო ენის სადავო საკითხებს, ეძიებდა ამა თუ იმ ფორმის უპირატესობის მეცნიერულ დასაბუთებას. ასე გულმოდგინედ და ღრმად შეუსწავლია მას ორმაგი უარყოფის საკითხი ძველი ქართული ძეგლების, სვანურისა და მეგრულ-ჭანურის, ქართული ენის დიალექტების, ნათარგმნი ძეგლების მონაცემთა მიხედვით და გაურკვევია, რომ თუმცა ორმაგი უარყოფა (არავინ არ მოვიდა) არ იხმარება არც ძველ ქართულში (იყო: არავინ მოვიდა), არც სხვა ქართულ ენებში, ის მაინც ქართული მოვლენაა, და არა რუსულიდან შემოტანილი. ეს ფორმა XI საუკუნის სამწერლობო ენაში შემოვიდა ცოცხალი მეტყველებიდან, სადაც უფრ ადრე წარმოშობილა (უარყოფის გაძლიერების ხაჭიროებით) და ამ დროისათვის უკვე ფართოდ გამოიყენებოდა, ე. ი. ორმაგი უარყოფა ქართულ ნიადაგზე, ქართული ენის წიაღშია წარმოშობილი და სრული უფლება აქვს იხმარებოდეს ქართულ სალიტერატურო ენაში.

30-იანი წლებიდან სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის მუშაობა უკვე სპეციალურ კომისიებში მიმდინარეობდა. ეს კომისიები მოქმედებდა „ელხთან“ (1933 წ.), განათლების კომისარიატთან (1934 წ.), რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან (1935 წ.), „ენიმკის“ ქართველურ ენათა სექტორთან (1937 წ.), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან (1946 წ.). ყველა ამ კომისიაში ვარლამ თოფურია თავმჯდომარის მოადგილის ან. სწავლული მდივნის მოვალეობას ასრულებდა და დიდ, შრომატევად საქმიანობას ეწეოდა. 1953 წლიდან კი იგი უკვე სამთავრობო კომისიაში მონაწილეობს როგორც კომისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

ასე ხანგრძლივად და შეუცვლელად მისგან ამ მოვალეობის შესრულება შემთხვევითი არ იყო. სამაგალითო აკურატულობა, საქმის სიყვარული და ერთგულება, დიდი ერუდიცია და საოცარი გულმოდგინება, დაუშრეტელი ენერგია და შრომის უნარი, რაც ასე ესაჭიროებოდა ამ დიდ საქმეს, უხვად მიემადლებინა განგებას ბატონი ვარლამისათვის.

გარდა ასეთი ხასიათის მუშაობისა, ვ. თოფურია სისტემატურად იკვლევდა სალიტერატურო ენის მოსაგვარებელ, სადავო საკითხებს. ნორმის პროექტების შესამუშავებლად წარმოდგენილი მისი მოხსენებები ყოველთვის ხასიათდებოდა თემის აქტუალობით, მასალის სიუხვით, ამომწურავი ანალიზით, უტყუარი მეცნიერული აღღოთი, საინტერესო მიგნებებით და საფუძვლიანი დასკვნებით.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პირველ კრებულში (1936 წ.) გამოქვეყნებული ცამეტი ნორმიდან ორი ვ. თოფურიას მოხსენების საფუძველზეა მიღებული. კომისიამ, რომელიც 1946-1948 წლებში მუშაობდა, სხვებთან ერთად განიხილა და მიიღო ვ. თოფურიას მოხსენების მიხედვით შემუშავებული თოთხმეტი პროექტი, რომელთა უმეტესი ნაწილი შევიდა 1970 წელს გამოცემულ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებულში.

ვ. თოფურიამ შეიმუშავა თანდებულთა ხმარების წესებიც, რომელთა საფუძველზეც მიიღეს სალიტერატურო ენის ნორმა.

ვ. თოფურიას მოხსენების მიხედვითვე შემუშავდა სიტყვაში ვ. ბგერის დაცვის, ჩართვისა და დაკარგვის, სხვათა სიტყვის მართლწერის, კომპოზიტთა მართლწერის წესები და სხვა.

ქართველი მოღვაწენი ადრევე ზრუნავდნენ ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენაზე, რადგან მასში ხედავდნენ მართლწერის მოწესრიგების ერთ-ერთ კარგ საშუალებას. ამ რთული საქმისათვის დიდი შრომა გასწია და მას თავიც დაადგა ვ. თოფურიამ. თოფურიას უშუალო მონაწილეობით (ივ. გიგინეიშვილთან ერთად) დამუშავდა და მისი რედაქციით გამოვიდა როგორც სასკოლო (1941, 1946, 1949 წ.წ.), ასევე ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონიც (1968 წ.). მათ დიდად შეუწყვეს ხელი დადგენილი ნორმების დანერგვას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა გ. ახვლედიანთან ერთად შედგენილმა „ქართულ-რუსულმა ლექსიკონმაც“. (1942 წ.).

დიდი მეცნიერი, რომლის ინტერესები და კვლევის სფერო მეტად ფართო იყო (ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და სტილის საკითხები, სვანურის გრამატიკის ანალიზი, კავკასიურ ენათა გრამატიკული აგებულების საკითხები, პედაგოგიკის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის პრობლემები...), დიდ დროს უთმობდა სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საქმესაც. მაგრამ მხოლოდ ნორმათა შემუშავებით კი არ იფარგლებოდა, ასევე თავდადებით იღვწოდა ამ ნორმათა დანერგვისათვის, რადგან იცოდა, რომ დადგენილი ნორმის ცხოვრებაში გატარება არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამიტომ მიღებულ ნორმათა პოპულარიზაციის მიზნით კითხულობდა ლექციებს პედაგოგებისათვის, რედაქციების მუშაკთათვის, ასევე საზოგადოება. „ცოდნის“ ხაზით და ფართო აუდიტორიას საოცარი სიცხადით განუმარტავდა, თუ როგორ უნდა დავიცვათ ენის სიწმინდე, როგორ ავიცილოთ შეცდომები.

1964 წელს მან პოპულარული ბროშურაც გამოსცა — „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“, სადაც ფართო მკითხველისათვის მისაწვდომად არის განმარტებული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპებიც და კონკრეტული საკითხებიც, როგორიცაა მაგალითად, სიტყვების სესხება და მათი მართლწერა, უცხოენოვან საკუთარ სახელთა, რუსული უმახვილო O-ს გადმოცემა და ა. შ.

არანაკლებ საინტერესოა ვარლამ თოფურიას ზოგადთეორიული ხასიათის შეხედულებები სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებზე, რომელთაც ასევე პოპულარული ფორმით გვაწვდის წიგნში „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (1965 წ.). ავტორი მოკლედ გადმოგვცემს, თუ როგორ იბრძოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. განმარტავს, რომ ენის სიწმინდის დაცვაზე, ენის ნორმალიზაციაზე ლაპარაკი მხოლოდ სალიტერატურო ენის მიმართ შეიძლება და ეს სალიტერატურო ენის სპეციფიკით, დიალექტური მეტყველებისაგან მისი განსხვავებით არის გაპირობებული. იხილავს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიას მწერლობის დასაბამიდან დღემდე და გამოყოფს სალიტერატურო ენის სამ პერიოდს: ძველ ქართულს (V-XI სს.), საშუალო ქართულს (XII-XVIII სს.) და ახალ ქართულს. საგანგებოდ ჩერდება სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის მიზეზებზე, როგორიცაა: ადრინდელი ლიტერატურული ენის გავლენა, დიალექტების გავლენა, სხვა ენებიდან სესხება და სხვ. ავტორი ამ წიგნშიც მოკლედ და ნათლად აწვდის მკითხველს იმ პრინციპებს. რომლებიც მიიღო სახელმწიფო კომისიამ და საფუძვლად ედება ნორმების დადგენას. თეორიული საკითხების გარდა, ეხება მართლწერის კონკრეტულ საკითხებსაც, როგორიცაა, მაგ.: უცხო სიტყვათა სესხება, სიტყვაწარმოების წესები, რიცხვითი სახელების მართლწერა, სინონიმური სიტყვების — წმინდა და სუფთა — მართებულად ხმარების ფარგლები და სხვა.

ვფიქრობ, ნათქვამიდან სქემატურად, მაგრამ მაინც ჩანს ის დიდი შრომა, რაც ვარლამ თოფურიამ გასწია ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად და შემუშავებულ ნორმათა დასაკანონებლად. მან თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე დაუცხრომლად იღვაწა და ნათელი კვალი დატოვა დიდ ეროვნულ საქმეში, რომელსაც სალიტერატურო ენის უნიფიცირება, ერთიანი სალიტერატურო ენის განმტკიცება-გაძლიერება ჰქვია.

ლია ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

სწავლება წარმოებას მოწყვეტით საშუალო ფაკულტეტი

(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, 522 ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა წარმოება; 3. ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში; 4. სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობანი; 5. პროექტირების ავტომატიზებული სისტემები მშენებლობაში; 6. კომუნალური მშენებლობა და მეურნეობა (ქართული სექტორები).

ენერგეტიკის ფაკულტეტი

(მ. კოსტავას ქუჩა 77, კორპუსი 8, მე-4 სართული, 409 ოთახი)

1. ელექტრომომარაგება (სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის შეურნეობის), (ქართული და რუსული სექტორები); 2. ელექტროსადგურები; 3. ელექტროენერგეტიკული სისტემები და ქსელები; 4. თბოელექტროსადგურები; 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა; 6. ელექტროამძრავი და სამრეწველო დანადგართა და ტექნოლოგიური კომპლექსების ავტომატიზაცია; 7. ეკონომიკა და მართვა სათბობენერგეტიკულ კომპლექსთა დარგებში (ქართული სექტორები).

საბთო ფაკულტეტი

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 3, 1 სართული, 122 ოთახი)

1. სამარკშეიდერო საქმე; 2. საარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება; 3. საარგებლო წიაღისეულის გამდიდრება; 4. საშახტო და მიწისქვეშა მშენებლობა; 5. ღია სამთო სამუშაოები; 6. სამთო მანქანები და მოწყობილობა ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისათვის; 7. სამთო მანქანები და მოწყობილობა სამთო საწარმოებისათვის; 8. სამთო წარმოების მანქანა-დანადგარების ელექტრომექანიკური მოწყობილობა და ავტომატიზაცია; 9. გამოყენებითი გეოდეზია; 10. ეკონომიკა და მართვა სამთო მრეწველობაში და გეოლოგიაში (ქართული სექტორები).

ვანსხვავებული

აღვადგინოთ ზნეობრივის მიერ დანგრეული ეკლესიები!

ყველას მოეხსენება, თუ როგორ შემოიკრიბენ სოფელ დვანში სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორები 1991 წლის 11 აპრილს, რომლებმაც ჯერ შებილწეს, ხოლო შემდეგ დაწვეს წმინდა გიორგისა და წმინდა სამების ეკლესიები. ამ ვანდალურმა აქტმა აღაშფოთა როგორც სოფლის, რაიონის, ისე მთელი რესპუბლიკის მოსახლეობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თხოვნით მიმართა მის ყოვლად უწმინდესობას დიმიტროს I, კონსტანტინეპოლის — ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს, რათა აღიმაღლონ ხმა ჭეშმარიტების დასაცავად.

სოფლის მოსახლეობა მოითხოვს წმინდა გიორგისა და წმინდა სამების ეკლესიების შეკეთებასა და აღდგენას, რისთვისაც საჭიროა ფარკვეული ფულადი სახსრები, რომელიც არც დვანის და არც რაიონის პრეფექტურას არ გააჩნია.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა მძიმე მდგომარეობაა დღეს საქართველოში, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქართველი ერი გაჭირვების ჟამს მხარში უდგას ყოველ სასიკეთო წამოწყებას. ამ იმედით დვანის საკრებულომ, ქარელის პრეფექტის ბატონ ნიკო შუბითიძის აქტიური მხარდაჭერით, შექმნა საქველმოქმედო ფონდი „სამება“ და გახსნა სპეციალური ანგარიში ქარელის აგროსამრეწველო ბანკში.

ჩვენ გვჯერა ჩვენი ხალხის თანადგომისა და მათ, ვისაც სურთ მხარში ამოგვიდგნენ, რათა დაეუბრუნოთ პირვანდელი სახე წმინდა გიორგის და წმინდა სამების ეკლესიებს, გადმოგვირიცხოთ ფულადი თანხა შემდეგ მისამართზე:

ქარელის რაიონის დვანის საკრებულოს საქველმოქმედო ფონდი „სამება“, აგროსამრეწველო ბანკის განყოფილება ქ. ქარელში, ანგარიში № 70062, მფო 521222.

ზვიადონ მამაგულაშვილი
დვანის საკრებულოს საქველმოქმედო ფონდის „სამების“ თავმჯდომარე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით დღის (დახურებული) სწავლებაზე:

სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორები), პედიატრიის, სანიტარია-ჰიგიენის, სტომატოლოგიისა და ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე (ქართული სექტორები). საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს № 162 15. 04. 1991 წლის ბრძანების თანახმად მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი სახეობები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს დანამატი ჩაბარებული საგნების შესახებ).

2. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის წიგნაკიდან, რომელშიც იქნება ჩანაწერი სამუშაოს შესახებ ამონაწერის გაცემის მომენტისათვის, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ.

3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086).

4. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

5. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს წარადგენს პირადად.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. ბიოლოგია (წერა); 2. ქართული (რუსული) ენა და ლიტერატურა (წერა); 3. მათემატიკა (წერა); 4. ქიმია (წერა).

გამოცდების შეფასება განხორციელდება 10-ქულიანი სისტემით, სადაც დადებით შეფასებად ჩაითვლება ქულები 6-დან 10-ის ჩათვლით. ჩარიცხვა განხორციელდება შემსვლელთა მიერ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით.

მიმღებ გამოცდებზე ყველა საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათებით, ობლები და მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვები, რომლებიც აღიზარდნენ სახელმწიფო ხარჯზე ან რომელთაც ოფიციალურად დანიშნული ჰყავთ მეურვე (ვრცელდება იმ აბიტურიენტებზე, რომელთაც გამოცდების დაწყებამდე არ შესრულებიათ 22 წელი), I და II ჯგუფის ინვალიდები, რომლებსაც სამედიცინო დასკვნით, უფლება აქვთ ისწავლონ უმაღლესი სასწავლებლის შესაბამის სპეციალობაზე.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, აბიტურიენტთა ჩარიცხვა განხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დემობილიზებულნი;

2. პირველ საგამოცდო საგანში უფრო მაღალი შეფასების მქონე აბიტურიენტები.

3. უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობის პროფილის შესაბამისი საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი;

4. უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობის პროფილის შესაბამისი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი.

5. უფრო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის მქონე აბიტურიენტები (ვრცელდება მათზე, ვისაც აქვს 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობის მუშაობის სტაჟი).

6. უმაღლესი სასწავლებლის მიმღები კომისიის მიერ განსაზღვრულ მეორე-მაპროფილებელ საგანში უფრო მაღალი ნიშნის მქონე აბიტურიენტი.

7. ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის განათლების დოკუმენტში უფრო მაღალი ჯამური ქულა აქვთ იმ საგნებში, რომლებიც ბარდება უმაღლესი სასწავლებლის მოცემულ სპეციალობაზე.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე. სამედიცინო ინსტიტუტის I სასწავლო კორპუსში (მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 29). მისაღები გამოცდები ჩატარდება 17 ივლისიდან. განრიგის მიხედვით.

დანიშნულ დროს გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბიტურიენტი შემდეგ გამოცდაზე არ დაიშვება.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში.

მიმღები კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 69, კორპუსი 2, მე-2 სართული, 202 ოთახი)

1. ორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 2. არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 3. ელექტროქიმიური წარმოებათა ტექნოლოგია; 4. ბიოტექნოლოგია; 5. ელექტრონული ტექნიკის მასალების და ნაკეთობების ქიმიური ტექნოლოგია; 6. საწარმოო ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების გამოყენება; 7. ქიმიურ-სატყეო დარგების ეკონომიკა და მართვა (ქართული სექტორები); 8. ძნელადლღობადი არალითონური და სილიკატური მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 76. კორპუსი 1, 5 სართული, 521 ოთახი)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები); 2. ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 3. ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია მანქანათმშენებლობაში; 4. თვითმფრინავთმშენებლობა და შვეულთმფრენმშენებლობა; 5. საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია; 6. საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია; 7. დაბალი ტემპერატურის ტექნიკა და ფიზიკა; 8. პროფსწავლება და ტექნიკური დისციპლინა მანქანათმშენებლობაში; 9. ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში; 10. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები; 11. მერქნის დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორები).

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 69, კორპუსი 2, მე-5 სართული, 502 ოთახი)

1. შავი ლითონების მეტალურგია; 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება; 3. ლითონმცოდნეობა, ლითონების თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია; 4. შედუღების წარმოების მეტალურგია და პროცესები; 5. ლითონების წნევითი დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია (ქართული სექტორები).

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-3 სართული, 303-დ ოთახი)

1. მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა; 2. საინფორმაციო საზომი ტექნიკა; 3. ელექტრონულ გამომთვლელ საშუალებათა კონსტრუირება და ტექნოლოგია (ქართული სექტორები); 4. ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში; 5. გამოთვლითი მანქანები, კომპლექსები, სისტემები და ქსელები; 6. ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები); 7. Management Information Systems (ინგლისური სექტორი).

ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲠᲢᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-5 სართული, 547 ოთახი)

1. ვაგონები; 2. რკინიგზის მშენებლობა და სალიანდაგო მეურნეობა; 3. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრომომარაგება; 4. გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე; 5. ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა (ქართული სექტორები); 6. ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები; 7. ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე; 8. ელექტრული ტრანსპორტი (ქართული და რუსული სექტორები).

ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, მე-4 სართული, 401-ბ ოთახი)

1. თბოფიზიკა; 2. მყარი სხეულების ფიზიკა; 3. ელექტრონული ტექნიკის მასალების და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია; 4. მიკროელექტრონიკა და ნახევარგამტარული ხელსაწყოები (ქართული სექტორები).

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-4 სართული, 402 ოთახი)

1. არქიტექტურა (ქართული სექტორი).

ᲰᲘᲓᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 68, კორპუსი 1, მე-2 სართული, 234 ოთახი).

1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა; 2. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია; 3. წყალმომარაგება, კანალიზაცია და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა (ქართული სექტორები).

ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 3, მე-2 სართული, 233 ოთახი)

1. გეოლოგიური დაგეგმვა და ძებნა-ძიება; 2. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია; 3. ნავთობისა და გაზის გეოლოგია; 4. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიების ტექნოლოგია და ტექნიკა; 5. ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავება და ექსპლუატაცია; 6. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა; 7. გეოლოგიური ობიექტების კომპიუტერული მოდელირება (ქართული სექტორები).

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 8, მე-5 სართული, 501 ოთახი)

1. ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში; 2. რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია; 3. რადიოელექტრონულ საშუალებათა კონსტრუირება და ტექნოლოგია (ქართული სექტორები); 4. ძრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა (ქართული სექტორი); 5. Telecommunication Engineering (ინგლისური სექტორი); 6. რადიოტექნიკა; 7. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა (ქართული და რუსული სექტორები).

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ-ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ .კოსტავას ქ. 71. კორპუსი 7, მე-3 სართული, 309 ოთახი)

1. საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა); 2. ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; 3. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; 4. გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე (ქართული სექტორები).

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 4, 1 სართული, 151 ოთახი)

1. ელექტრომექანიკა; 2. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორები); 3. ელექტრული აპარატები; 4. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატები და სისტემები (ქართული სექტორები).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

(ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორები).

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲣᲬᲧᲔᲢᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ

(ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12)

ა) საღამოს სწავლება:

1. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; 2. გემების ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია; 3. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 4. დაბალი ტემპერატურების ტექნიკა და ფიზიკა; 5. ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში; 6. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 7. კომუნალური მშენებლობა და მეურნეობა; 8. ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ნაპირდაცვა) (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება:

1. წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა; 2. სამშენებლო, საგზაო, აშწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა; 3. გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე; 4. საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა); 5. ელექტრომექანიკა (ქართული და რუსული სექტორები).

ᲜᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡ�წᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ᲜᲝᲮᲣᲛᲘ, კელასური; მიჩურინის ქ. 1)

ა) საღამოს სწავლება:

1. სამრეწველო ელექტრონიკა; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 3. რადიოკავშირგაბმულობა, რადიომაუწყებლობა და ტელევიდეა; 4. ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემები; 5. ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში; 6. ელექტროენერგეტიკული სისტემები და ქსელები (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება:

1. სამრეწველო ელექტრონიკა; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; 3. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია; 4. ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ნაკირდაცვა) (ქართული და რუსული სექტორები).

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡ�წᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ, მოსკოვის ქ. 8; გორი, საბჭოს ქ. 37).

ა) საღამოს სწავლება:

1. არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება:

1. კომუნალური მშენებლობა და მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(რუსთავი, რუსთაველის ქ. 16)

1. შავი ლითონების მეტალურგია; 2. ლითონების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია; 3. ორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 4. არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 5. ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში; 6. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორები).

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ, გ. თხელიძის ქ. 14)

1. დაბალი ტემპერატურების ტექნიკა და ფიზიკა; 2. სამთო მანქანები და მოწყობილობები; 3. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა (ქართული სექტორები).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲣᲡ�წᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 5, მე-4 სართული)

1. სამშენებლო, საგზაო, ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობები; 2. სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაკეთობების წარმოება; 3. ორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 4. არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია; 5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 6. წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალთა რესურსების რაციონალურად გამოყენება და დაცვა; 7. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; 8. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები).

ᲛᲐᲦᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲒᲐᲛᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲖᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲣᲡ�წᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რ-ნი, დაბა კაზრეთი, მადღუელის ქ. 12)

1. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება; 2. ელექტრომომარაგება; 3. ღია სამთო საშუშაოები (ქართული და რუსული სექტორები).

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო განათლების მოქალაქენი ასაკის მიუხედავად გარდა სპეციალობებისა: საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია — მიიღებიან მხოლოდ ვაჟები 35 წლის ასაკამდე და საფრენი აპარატებისა და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაციის სპეციალობაზე კი, მხოლოდ ვაჟები, 17-22 წლის ასაკამდე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

— არქიტექტურის ფაკულტეტზე: ხატვა, აკვარელი, კომპოზიცია, ხაზვა; მათემატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— სამშენებლო, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის, მექანიკა-მანქანათმშენებლობისა და სატრანსპორტო ფაკულტეტებზე (გარდა სპეციალობებისა: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში, ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა, საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია და საფრენი აპარატებისა და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია): მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); ხაზვა; მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: ქიმია (ზეპირი); მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— მეტალურგიულ და გეოლოგიურ ფაკულტეტებზე: მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); ქიმია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის და კავშირგაბმულობის ფაკულტეტებზე: მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი), ინფორმატიკა (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე: ფიზიკა (ზეპირი); მათემატიკა (წერა და ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

— ენერგეტიკის, სამთო, საავტომობილო-საგზაო, ელექტრომექანიკისა , და ელექტრონიკის ფაკულტეტებზე, აგრეთვე სპეციალობებზე: ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში, ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა, საფრენი აპარატებისა და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია და საფრენი აპარატებისა და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია: მათემატიკა (წერა და ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ამავე საგნებში ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების შესაბამის სპეციალობებზე შემსვლელები.

შენიშვნა: ინგლისურ სექტორზე შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა (ზეპირი); მათემატიკა (წერა); ფიზიკა (ზეპირი); ინფორმატიკა (წერა); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა). საბუთების მიღება ინგლისურ სექტორზე შემსვლელთაგან განხორციელდება 12 ივლისს ჩათვლით, ხოლო გამოცდა ინგლისურ ენაში ჩატარდება: ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის 13 ივლისს, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის 14 ივლისს, ორბალიანი სისტემით — „დადებითი“ ან „უარყოფითი“. ვინც მიიღებს ინგლისურ ენაში უარყოფით შეფასებას, 15 ივლისს უნდა შემოიტანოს განცხადება მიმღებ კომისიაში, მისთვის სასურველ არაინგლისურენოვან სპეციალობაზე.

სწავლების ყველა ფორმაზე შემსვლელთაგან საბუთები მიიღება შესაბამის ფაკულტეტებზე, განცხადებაში მითითებული მისამართების მიხედვით, 1991 წლის 25 ივლისიდან 15 ივლისამდე, 10 საათიდან 16 საათამდე, გარდა შაბათი და კვირა დღეებისა.

შენიშვნა: საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე საბუთები მიიღება განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად, ფაკულტეტებთან განლაგებული უახლოესი რაიონების მაცხოვრებლებისაგან.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შეაქვთ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება (დადგენილი ფორმის ბლანკი გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში); 2. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი; 3. სამედიცინო ცნობა ფორმა 086 უ; 4. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4, დამოწმება საჭირო არ არის); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის); პასპორტს და ვაჟი აბიტურიენტები სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენენ პირადად.

შენიშვნა: ა) ყველა ვაჟმა აბიტურიენტმა, რომლებიც დაბადებული არიან 1974 წელს ან უფრო ადრე, მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის წვევამდელის მოწმობა. იმ ვაჟმა აბიტურიენტებმა, რომლებმაც იმსახურეს საბჭოთა არმიის რიგებში ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ იყვნენ გაწვეულნი სამხედრო სამსახურში, მიმღებ კომისიას უნდა წარმოუდგინონ საბჭოური სამხედრო ბილეთი (გაცემული 1991 წლის პირველ მაისამდე), ან ქართული სამხედრო ბილეთი, რომელიც 1991 წლის პირველი მაისის შემდეგ გაცემულია პროფექტურებთან და ქ. თბილისის საკრებულოებთან არსებული გამწვევი კომისიების მიერ.

ბ) აბიტურიენტები, რომლებიც შემოიტანენ განცხადებებს საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციისა და საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაციის სპეციალობებზე, საბუთები თავდაპირველად უნდა წარადგინონ ჯანმრთელობის მდგომარეობის კომისია უნდა გაიარონ სპეციალურ კლინიკაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი, ტრანსპორტი: ავტობუსი-ექსპრესი. ნომრები: 200, 208 და 8 (მეტრო სამგორიდან), გაჩერება კინოთეატრი „აეროპორტი“.

გ) საფრენი აპარატებისა და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაციის სპეციალობაზე მიიღებიან ვაჟები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ გამოდგებიან სამოქალაქო ავიაციის საფრენოსნო სამსახურში და მისაღები გამოცდების წინ გაიკლიან პროფესიონალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადების დონის შემრჩევ კომისიას, ამიტომ დამატებით მათ უნდა წარმოადგინონ: ცხვირის წიაღის დანამატის რენტგენოგრამა, რენტგენოლოგის დასკვნით და ცნობა ფსიქოლოგიური დისპანსერიდან, რომელიც გაიცემა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დ) „საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სპეციალობის დამთავრების შემდეგ სპეციალისტს ენიჭება კვალიფიკაცია ინჟინერ-შემქანიკოსის, ხოლო „საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაციის“ სპეციალობისას — ინჟინერ-პილოტის.

სწავლების ყველა ფორმაზე მისაღები გამოცდები ჩატარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში, 17 ივლისიდან, ჩარიცხვა განხორციელდება 5 აგვისტომდე. კონკურსი მოეწყობა სპეციალობების მიხედვით.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით და ჩარიცხვა განხორციელდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით, ცალკეულ სგადმოცდა საგნებში კი შეფასებები დაისმება შემდეგი სისტემით: „არადამაკმაყოფილებელი“ და აბიტურიენტი შემდგომ გამოცდებზე აღარ დაიშვება; 6 (ექვსი); 7 (შვიდი); 8 (რვა); 9 (ცხრა); 10 (ათი).

ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩარიცხულნი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილნი არ იქნებიან.

სწავლა დღის სწავლებაზე დაიწყება პირველ სექტემბერს, ხოლო საღამოს დაუსწრებელ ფორმებზე კი 29 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ სათანადო ფაკულტეტებზე და მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში (მ. კოსტავას ქ. 77, კორპუსი 6, სართული პირველი).

ᲰᲘᲓᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პოლიტიკურ ორგანიზაციად რეგისტრირებასთან დაკავშირებით, თეთრი გიორგის კავშირი ვალდებულად თვლის განაცხადოს შემდეგი:

1. თეთრი გიორგის კავშირმა იარაღი ჩააბარა 1991 წ. თებერვალში.

2. თეთრი გიორგის კავშირს არავითარი იარაღი არ გააჩნია.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

1991 წ. 20. ივნისი

ღორღინება არგო

კვირის ხალხური ანა-ბანა საქველმოქმედო ასოციაცია „ღორღინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაივიწყეთ ყველაფერი, რაც აქამდე ბირჟების შესახებ გსმენიათ!

სააქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალური ბირჟას შეუძლია შეცვალოს არა მარტო თქვენი წარმოდგენა ბირჟებზე, არამედ აქციონერთა მუშაობისა და ცხოვრების სტილიც.

ძნელი დასაჯერებელია:
გავეცნოთ რამდენიმე ფაქტს:

ჩვენში არსებული ანალოგიური სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მოიცავს არა მარტო საბირჟო სამსახურებს, არამედ თავისებური საინვესტიციო ბანკიც იქნება. იგი სიამოვნებით დააფინანსებს სხვადასხვა მიმართულებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში; ახალ, საინტერესო და მომგებიან ტექნოლოგიებს.

სააქციონერო საზოგადოების საწესდებო ფონდი შეადგენს 20 მილიონ მანეთს.

აქციის ღირებულებაა 10 ათასი და 50 ათასი მანეთი.

ჩვენი ანგარიშის ნომერია 000161103 კომერციული ბანკი „დრო“
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 521006.

ჩვენი აქცია ფულობელისათვის ოდგების გარანტიაა.

საქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალური ბირჟის მისამართებია: რუსთაველის გამზირი 42, გამომცემლობა „მერანი“, I სართული, ფირმა „არდიექსის“ ოფისი; ფალიაშვილის ქ. 85 კავკასიის მინერალური წყლულის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 309.
ტელეფონები: 294-931, 230-837

სარეკლამო სააგენტო „რეზონანსი“

გმადლობთ მკურნალებო

ასე მგონია თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება მაწუხებდა თავის, კისრისა და წელის მალების ტკივილი. ასევე ჩემი მეუღლე იტანჯებოდა კიდურების ტკივილით და წნევით. დიაგნოზის დასასმელად და სამკურნალოდ შემოვიარეთ მთელი საქართველო და ხსრ კავშირის სხვადასხვა კუთხე. ერთი ექიმი მგზავნიდა მეორესთან, მეორე მესამესთან და ასე შემდეგ. იკარგებოდა დრო და შესაბამისად თანხა. გაზეთის საშუალებით შევიტყვე კოოპერატივ „მკურნალის“ არსებობა. მივაკითხეთ მე და ჩემმა მეუღლემ და დიდი კმაყოფილი დავრჩით. გავიკეთეთ ლაბორატორიული გამოკვლევები, რენტგენოგრაფია, შინაგანი ორგანოების, ჩიყვისა და სარძევე ჯირკვლების, გინეკოლოგიური ექოსკოპია. ჩვენდა სასიხარულოდ ყველა სპეციალისტი ერთად იყო თავმოყრილი: უროლოგი, ქირურგი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი, გინეკოლოგი, ანგიოლოგი, ოკულისტი...

გაოცებული ვიყავით ONA KARAKANის ჯადოსნური უნარის შემყურენი, რომელმაც ჩვენს თვალწინ 14 წლის გოგონას მოუხსნა ლამის შარდვა. 10 წლის ბიჭს, რომელსაც ენა ებმებოდა, ენა გაუსწორა. ტკივილებისაგან წელში მოხრილი სრულიად განკურნა. ახალგაზრდა მამაკაცი მარილებითა და უძილობისაგან შეწუხებული განკურნა.

შევიკრიბეთ მადლიერი პაციენტები და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გვინდა გადაეუხადოთ კოოპერატივ „მკურნალის“ ხელმძღვანელსა და იქ მომუშავე პერსონალს გულისხმიერებისათვის.

თუ რამე გაწუხებთ მიმართეთ „მკურნალს“ — მეტრო 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9, I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორია, ტელ: 74-47-75, მუშაობის საათები ყოველდღე 15^{30}სთ-დან 19^{00}სთ-მდე, შაბათს 10^{00}სთ-დან 13^{00}სთ-მდე, კვირა — დასვენების დღე.

მადლიერი ავადმყოფების ჯგუფი

გილოცავთ, თქვენ ორსულად ხართ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი“ გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში“, შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დიაგნოსცირება შეუძლებელია.

გარდა ამისა ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმოზის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიდიოზის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნულ ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას ან ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27, რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება.
კოოპერატივი „დასტაქარი“
სამუშაო საათები: 10-დან 19 სთ-მდე, შაბათს 12 სთ-მდე
დასვენების დღე კვირა ტელ. 39-57-63

კოოპერატივი „ფუნდამენტი“ ამზადებს ერთფერიანი შპალიერის სახატავ დანადგარებს. დანადგარი ერთ ცვლაში დახატავს 30 ათ.მეტრ შპალიერის ქაღალდს სიგანით 50მმ — 62მმ.
მისამართი: გორი, პუშკინის ქ.2ª.
ტელეფონი: 2-62-73, 2-54-78

მსურს ვიძირავო
ერთოთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა ქალაქის ცენტრში. სასურველია ტელეფონით.
დარეკეთ: 37-58-25.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

ვამომცემლობა „მეცნიერებამ“ ფირმა „ევრიკასთან“ ერთად გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო

საკონკურსო ამოცანები მათემატიკაში,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 1990 წლის მისაღები გამოცდების ბილეთების ნიმუშები

პროფ. დ.ნატროშვილის რედაქციით. **რეცენზენტი პროფ. ლ.მძინარიშვილი.**

წიგნი შედგება 22 განყოფილებისაგან. თითოეული მათგანი აერთიანებს ხუთსაკითხიან ერთნაირი ტიპის 11 ბილეთს. ყოველ განყოფილებაში მოყვანილია თითო ბილეთის დაწვრილებითი ამოხსნა და დანარჩენი ბილეთების საკითხების პასუხები. მოყვანილი ბილეთების საკითხების უმრავლესობა წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ამოცანების კომბინირებას, რაც ანიჭებს მათ ორიგინალურ ხასიათს.

როგორც ცნობილია წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის წერითი გამოცდების ბილეთების სტრუქტურა ანალოგიურია 1990 წლის ბილეთების სტრუქტურისა. ამიტომ მოცემული კრებულის დამუშავება არსებითად შეუწყობს ხელს ცოდნის იმ დონის მიღწევას, რომელიც მოეთხოვება აბიტურიენტებს მისაღებ გამოცდებზე.

წიგნები გაიყიდება „საქწიგნის“ მაღაზიებში: „ევრიკა“ — მ.კოსტავას ქ. №22, „პოლიტექნიკოსი“ — მ.კოსტავას ქ. №77, „სინათლე“ — ი.ჭავჭავაძის გამზ. №19, „საუნჯე“ — რუსთაველის გამზ. №28. აგრეთვე თბილისის სხვა და საქართველოს რაიონული ცენტრების მაღაზიებში.

ყურადღება!
საქართველოს კულტურის ფონდი და ფირმა „არდიექსი“ გთავაზობთ მხატვარ **გრიგოლ დანელიანის** ნამუშევრების პერსონალურ **გამოფენა-გაყიდვას.**
გამოფენა გაიხსნება ა.წ. 25 ივნისს გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში (რუსთაველის გამზირი, 42)

იყიდება
ურთიერთშეთანხმებით
სტერილიზატორი (ავტოკლავი) გპდ 400-1, სტერილიზატორი ვკ-75, ცისტერნა ემალირებული 60 მ³, მინის ქილები 3 ლიტრიანი, ფოლადის მილები 95 მმ.
დარეკეთ: 93-13-62

380122, თბილისი, ანაგის 7, შ-12 სართული
ტელ.: 98 30 68
კალასი kalasi
ფირმა „კალასი“
ორგანიზაციებს, ნარმოება-დანესებულებებს და კოოპერატივებს დაეხმარება მათი ნანარმის საზღვარგარეთ გატანახა და გაყიდვაში, ერთობლივი სანარმოს შესაქმნელად უცხოელი პარტნიორის მოძებნაში.

ხალვაზრდა ქართველი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.